1924 წ. 23 მარტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ. ჩერვონც.

# ჩირაღდანი

№ 7 გაზ. „კომუნისტი"-ს სალიტერატურო—სამხატვრო ორკვირეული დამატება № 7

## — პარიზის კომუნარები —



1) **ვერმერშ,** გაზეთის რედაქტორი, გაუსამართლებლად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, 2) **ლიუსიენ-ეჟენ ვარლენ,** მუშა, კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წ. მაისის 28 ს; 3) **ბენუა მალონ,** სოციალიზმის თეორეტიკოსი, წევრი კომუნისა, მიუსაჯეს უვადო დაპატიმრება და გადასახლება; 4) **ჟიულ ვალლეს,** გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 5) **გენერალი ლიულიე,** მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, 6) **ჟურდ ფრანსუა,** კომუნის წევრი, გადასახლებული იქნა ახალ კალედონიაში; 7) **გენერალი ედი,** სამხედრო საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს 20 წლის კატორღა; 8) **პასკალ გრუსე,** გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; 9) **იზაბელა რეტიფ,** კომუნარი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 10) **გონტენზია დავიდ,** კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი, მიუსაჯეს გადასახლება; 11) **კლარა ფრუნიე,** კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი; 12) **ქრისტინა დ'რუან,** კანონირი ბარიკადა-პორტმაირზე; 13) **ვალიან,** კომუნის წევრი, სახალხო განათლების საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 14) **ელიზე რეკლიუ,** ცნობილი გეოგრაფი და ანარქიზმის თეორეტიკოსი, ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცი, მიუსაჯეს გადასახლება; 15) **ფრანკელი,** კომუნის წევრი, შრომისა და გაცვლის განყოფილების რწმუნებული, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 16) **გენერალი ბერჟერე,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 17) **როსელი,** სამხედრო საქმის რწმუნებული, დახვრეტილ იქნა; 18) **გასტონ კრემიე,** მარსელის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე, დახვრეტილ იქნა; 19) **რაულ რიგო,** კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წლის მარტის 24-ს; 20) **ზერნერი,** ბატარეის უფროსი; 21) **კატერინა ოლივიე,** მიუსაჯეს გადასახლება; 22) **გაიარი,** შინაგანი თავდაცვის უფროსი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; 23 **გენერალი ლია-სესილია,** კომუნის ერთი გამოჩენილი ოფიცერთაგანი, მიუსაჯეს ციხე და გადასახლება; 24) **გუსტავ მაროტო,** გაზეთის რედაქტორი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 25) **ვერდაგერი,** აჯანყების ერთი მონაწილეთაგანი დახვრიტეს; 26) **ჟიულ მიო,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 27) **ლუიზა მიშელ;** 28) **პუატიე,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 29) **ტონი მუალენ,** გამოჩენილი დოსტაქარი, დახვრიტეს.

# „ცას შეუტიეს“

ასე სწერდა მარქსი პარიზის კომუნარებზე. ამ სიტყვებში ჩამოსხმულია სრული სინამდვილე პარიზის რევოლიუციის და ტრაღედია კომუნის გმირების.

დაპირისპირებულს ორი არმიის წინაამდეგ (საფრანგეთისა და გერმანიის) დანარჩენი ქვეყნისაგან მოწყვეტილს არა მარტო ამ არმიების გაუვალი ხიშტებით, არამედ სოფლის მცხოვრებთა შეუგნებლობით, პასივობით და, რაც უარესია, აშკარა მტრობით, მოკლებულს გარკვეული მიზნის, გამოცდილებისა და რევოლიუციონური ტაქტიკის მატარებელ, მტკიცე ორგანიზაციის მქონე მასიურ პარტიას, უნდა ებრძოლა პარიზის კომუნას. უნდა ებრძოლა, ვიმეორებთ მაშინ. როდესაც არ იყო კავშირი გლეხობასთან, არ იყო პარტიის დიქტატურა, ადგილი არ ქონებია მსოფლიო რევოლიუციონურ კრიზისს.

კიდევ მეტი.

კომუნა თავს ოყრიდა წვრილ ბურჟუაზიულ ანარქ-სტებს—პრუდონისტებს, შეთქმულების კულტის წარმომადგენლებს—ბლანკისტებს და უპარტიო მუშებს. სახელმწიფოს „პრინციპიალური“ მტრებს უნდა ებრძოლათ დიქტატურისთვის, სახელმწიფოს დასაპყრობათ, ბლანკისტები უნდა შესდგომოდენ მათთვის უჩვეულო მუშათა მასების ასამოძრავებლათ და მათზე დასაყრდნობათ, უპარტიო მუშებს უნდა ეწარმოებიათ ბრძოლა ისე, როგორც პარტიაში გამოწრთობილებს და ურთიერთშორის პარტიული დისციპლინით შედუღებულებს. მიუღწეველი აღმოჩნდა როგორც ერთი. ისე მეორე და მესამეც. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი თავდაცვითი და აქტიური ძალები ორივე სახელმწიფოსი ფეხზე იყო დაყენებული ომის გამო და მზათ საერთო მტრის „აბუნტებული“ მუშების მოძრაობის ჩასაკლავათ—ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ჭეშმარიტათ, 1871 წლის 18 მარტის აჯანყება პარიზში იყო „ცის შეტევა“, ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ კომუნა უნდა დამარცხებულიყო და ასეც მოხდა. გაერთიანებულმა ბურჟუაზიამ შური იძია თავიანთ სოციალ-პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ამდგარ მონებზე და სისხლში ჩაახრჩო პირველი დიდი ცდა შრომის განთავისუფლებისა, მოჰკლა კომუნა, აწამა კომუნარები.

ინგლისური გაზეთი „Evning Standard“-ის პარიზელი კორესპონდენტი ასეთ ცნობას აძლევდა იმ დღეებში (8 ივნისი 1871 წ.) თავის გაზეთს ამ ჯალათური სიმხეცის ორი (სხვა მრავალთა შორის) ეპიზოდის აწერით:

„მრავალი გვამი დამარხეს წმინდა იაკობის მოედანზე. ზოგიერთ მათგანს ძლივს ფარავდა მიწა. დღით ქუჩის ხმაურობა ყველაფერს ფარავდა, **მაგრამ ღამით მახლობელ სახლებში მცხოვრებლები გამოაღვიძა ყრუ კვნესამ, ხოლო დილით დაინახეს მიწიდან ამოშვერილი შეკუმშული მუშტები. ამის გამო გაცემული იყო ბრძანება ამოეთხარათ ეს ცოცხალ-მკვდრები.**

ცხადია, რომ ბევრი დაჭრილები ცოცხლათ იყვნენ დამარხულნი...

აი ფაქტი—სწერს კორესპონდენტი—რომლის დამტკიცება მე შემიძლია. ერთი მუშა ბრიუნელი და მისი ცოლი დახვრეტილი იყვნენ 24 მაისს ერთი სახლის ეზოში, ვანდომის მოედანზე. ისინი დატოვეს იქ 27 მაისამდე. **როდესაც 27-ს მივიდნენ გვამების წასაღებათ, აღმოჩნდა რომ ქალი კიდევ ცოცხალი იყო და ის წაიყვანეს საავადმყოფოში**“.

ასე გაუსწორდა ბურჟუაზია პარიზის აჯანყებულ პროლეტარიატს. საფრანგეთისა და გერმანიის გაბატონებულმა კლასებმა, რომლებიც ურთიერთ შორის ომს აწარმოებდნენ, ხელი გაუწოდეს ერთმანეთს და შეერთებული ძალებით შეუტიეს ფრანგ მუშებს. ისინი გამოვიდნენ შეთანხმებულათ და ამითაც დაანახვეს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს აუცილებლობა მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის საბოლოო მიზნების მისაღწევათ, ძველი ქვეყნის დასამხობათ.

პროლეტარიატის ინტერნაციონალურათ დაკავშირების საქმე ხელში აქვს დღეს საერთაშორისო კომუნიზმს. მის ორგანიზაციას, კომუნისტურ ინტერნაციონალს. მუშათა რევოლიუციამ ჰპოვა და ბოლოს კომპარტიაში ხელმძღვანელი, რომელიც არ ყავდა პარიზის კომუნას. ამ პარტიის წინამძღოლობით გაიმარჯვა ორმოცდაექვსი წლის შემდეგ დიდმა რუსეთის კომუნამ და მან შური იძია პარიზის რევოლიუციონერების ჯალათებზე. საბჭოთა კავშირი აღმართულია დღეს როგორც უძლეველი ციხე სიმაგრე მსოფლიო კომუნისა, რომლის მოლოდინშია ძველი ქვეყანა.

პარიზის კომუნა მოკვდა, გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

# რაშია კომუნართა ცდის გმირობა

ჩვენ ვიცით რომ კომუნის გამოცდილებიდან რამდენიმე თვით ადრე მარქსი აფრთხილებდა პარიზის მუშებს და უმტკიცებდა მათ, რომ მთავრობის ჩამოგდების ცდა სასოწარკვეთილებით გამოწვეული სისულელე იქნებაო, მაგრამ 1871 წლის მარტში როდესაც მუშებს თავს მოახვიეს გადამჭრელი ბრძოლა, რაც მუშებმა მიიღეს კიდეც, როდესაც აჯანყება ფაქტი გახდა, მაშინ მარქსი უდიდესი აღტაცებით მიესალმა პროლეტარულ რევოლიუციას, მიუხედავათ იმისა, რომ მას ცუდი ნიშნები თან დაყვა. მარქსს პედანტიური ჯიუტობით არ გაუკიცხავს „უდროო“ მოძრაობა როგორც ეს მისდა სამარცხვინოთ მარქსიზმის ცნობილმა რუს რენეგატმა პლეხანოვმა ჩაიდინა, რომელიც 1905 წლ ნოემბერში აქეზებდა მუშებს და გლეხებს საბრძოლველათ, ხოლო ამავე წლის დეკემბრის შემდეგ კი ლიბერალურათ გაკიოდა: „არ უნდა აგველოთ იარაღი“-ო.

მარქსი არა მარტო აღტაცებული იყო მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ზეცაზე იერიშის მიმტან“ კომუნარების გმირობით. მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობაში თუმცა კომუნა მიზანს ვერ აღწევდა, მაგრამ ის მაინც ხედავდა მასში უდიდეს მნიშვნელობის ისტორიულ გამოცდილებას, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გზაზე განსაზღვრულ ნაბიჯის წინ გადადგმას, ისეთი პრაქტიკულ ნაბიჯისას, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ასობით პროგრამებსა და მსჯელობათ. ამ გამოცდილებისათვის ანალიზის გაკეთება, მისგან ტაქტიკურ ხასიათის გაკვეთილების გამოყვანა და მისი მიხედვით თავისი თეორიის გადსინჯვა, - აი როგორ დააყენა მარქსმა თავისი ამოცანა.

კომუნისტური მანიფესტის ერთადერთი „შესწორება“, რომელიც მარქსმა მიუცილებლათ მიიჩნია, მან მოახდინა პარიზის კომუნარების რევოლიუციონურ გამოცდილების საფუძველზე.

„კომუნისტური მანიფესტის“ ახალი ნემეცური გამოცემის უკანასკნელი წინასიტყვაობა, ორივე ავტორის მიერ ხელმოწერილი, აღნიშნულია 1872 წ. 24 ივნისის თარიღით ამ წინასიტყვაობაში ავტორები. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ამბობენ, რომ კომუნისტური მანიფესტის პროგრამის „ზოგიერთი ადგილები დაძველდაო“.

**განსაკუთრებით—განაგრძობენ ისინი,—კომუნამ დაამტკიცა რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოთ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს ის თავის საკუთარ მიზნებისათვის“.**

მეორე ფრჩხილებში ჩასმული ეს სიტყვები ამოღებულია ავტორების მიერ მარქსის თხზულებიდან სამოქალაქო ომი საფრანგეთში.

ამრიგად ერთი ძირითადი და უმთავრესი გაკვეთილი პარიზის კომუნისა. მარქსმა და ენგელსმა იმდენათ დიდი მნიშვნელოვნათ მიიჩნიეს, რომ ის როგორც არსებითი შესწორება შეიტანეს „კომუნისტურ მანიფესტში“.

მეტად დამახასიათებელია, რომ ეს არსებითი შესწორება დაამახინჯეს ოპორტიუნისტებმა და საეჭვოა, რომ მისი აზრი გაეგებოდეს კომუნისტურ მანიფესტის წამკითხველთ ათიდან ცხრას, თუ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტს არა. დაწვრილებით ამ დამახინჯებაზე ქვევით, სპეციალურათ დამახინჯების შესახებ მიძღვნილ თავში მოვილაპარაკებთ—ახლა კი საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გავრცელებულ ვულგარულ გაგებით მარქსის ზემოდ მოყვანილი ცნობილი დებულების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მარქსი აქ ვითომც ხაზს უსვამს ნელი განვითარების იდეას, წინააღმდეგ ძალაუფლების დაპყრობისა და სხვა ამგვარები.

ნამდვილათ კი სწორეთ ამის წინააღმდეგს აქვს ადგილი. მარქსის აზრი იმაში მდგომარეობს რომ მუშათა კლასმა უნდა **დაანგრიოს, გაანადგუროს** მზამზარეული მანქანა და არ დაკმაყოფილდეს მისი უბრალო დაპყრობით.

1871 წ. 12 აპრილს ე. ი. სწორეთ კომუნის დროს, მარქსი სწერდა კუგელმანს:

თუ გადახედავ ჩემი მე 18 ბრიუმერის უკა-

ნასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ ცდათ მე ვაცხადებ არა გადაცემას ერთი ხელიდან მეორე ხელში ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანისა, როგორც ეს აქამდი ხდებოდა, არამედ მის **დანგრევას** (კურსივი მარქსისაა) და სწორეთ ასე-



კომუნარი ჟ. ბ. მილერი.

თია წინასწარი პირობა ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა ხმელეთზე. სწორეთ ამაშია ჩვენი გმირ პარიზელ ამხანაგების ცდა.

სიტყვებში „ბიუროკრატიულ სამხედრო სახელმწიფო მანქანის დანგრევა“, მოკლედ გამოთქმულია მარქსიზმის უმთავრესი გაკვეთილი, იმ საკითხის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვის პროლეტარიატის ამოცანები რევოლიუციაში სახელმწიფოს მიმართ. სწორედ ეს გაკვეთილი მარქსიზმის კაუცკისებურათ გაგების მომხრეებმა, არა მარტო სავსებით დაივიწყეს, არამედ პირდაპირ დაამახინჯეს.

რაც შეეხება მე-18 ბრიუმერის იმ ადგილს, რომელზედაც მარქსი მიუთითებს, ეს ადგილი ჩვენ ზემოთ მთლიანათ მოვიყვანეთ.

საინტერესოა აღვნიშნოთ განსაკუთრებით ორი ადგილი მარქსის მოყვანილ ამონაწერიდან. ჯერ ერთი ის თავის დასკვნას მხოლოდ ხმელეთზე ამყარებს. ეს 1871 წელს მისახვედრი იყო, როდესაც ინგლისი წარმოადგენდა სამაგალითო წმინდა კაპიტალისტურ ქვეყანას, მაგრამ მოკლებული იყო მხედრულ გატაცებას (ვოენშინა) და რამდენიმეთ ბიუროკრატიასაც. ამიტომ მარქსი გვერდს უვლიდა ინგლისს, სადაც რევოლიუცია, თვით, სახალხო რევოლიუციაც კი, შესაძლებელი იყო ისეთ პირობებში, რომ წინასწარ არ დანგრეულიყო „მზამზარეული სახელმწიფო მანქანა“.

ეხლა 1917 წელს, პირველ უდიდეს იმპერალისტურ ომის ხანაში, მარქსის ასეთი გვერდის შევლა ძალას კარგავს და ინგლისიც და ამერიკაც ეს უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენილნი ანგლო-საქსონურ „თავისუფლებისა“, სამხედრო გატაცებისა და ბიუროკრატიზმის უქონლობის აზრით ეხლა სავსებით დაეშვენ იმ საერთო ევროპიულ ტალახსა და ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულების სისხლიან ჭაობაში, რომელიც ყველაფერს იმორჩილებს და იმონებს. ეხლა ინგლისსა და ამერიკაშიაც ნამდვილ ხალხურ რევოლიუციის წინასწარ პირობას წარმოადგენს მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანის (1914—1917 წლებში ევროპიულ საერთო იმპერიალისტურ სიმაღლემდე მომზადებულის) **დამტვრევა-დანგრევა**.

მეორე მხრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მარქსის მეტად ღრმა აზროვანი შენიშვნა, რომ ბიუროკრატიული სამხედრო სახელმწიფო მანქანის დანგრევა წინასწარი პირობაა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა. „ხალხური“ რევოლიუციის ასეთი გაგება მარქსის მხრით ახირებულათ ეჩვენებათ და რუსეთის პლეხანოველებს და მენშევიკებს, ან სტრუვეს მიმდევრებს, რომლებსაც მარქსისტებათ მოაქვთ თავი, შეუძლიანთ მარქსის ასეთ გამოთქმას უწოდონ წამოცდენა. იმათ ისეთ ღატაკ ლიბერალურ დამახინჯებამდი ჩამოაქვეითეს მარქსიზმი, რომ მათთვის არაფერი არ არსებობს გარდა ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლიუციის დაპირდაპირებისა და ეს დაპირდაპირებაც ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ მასში ყოველივე სიცოცხლის ნიშან-წყალი მოსპობილია.

მაგალითისათვის რომ მე-XX საუკუნოების რევოლიუცია ავიღოთ, რასაკვირველია, ბურჟუაზიულ რევოლიუციებათ უნდა ჩავთვალოთ, როგორც პორტუგალიის, ისე ოსმალეთის რევოლიუციები. მაგრამ ხალხური არც ერთი მათგანი არ არის, რადგანაც ხალხის მასსა, მისი დიდი უმრავლესობა არც ერთ და არც მეორე რევოლიუციაში არ გამოდის შესამჩნევათ აქტიურათ, დამოუკიდებლათ, საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებებით. პირიქით 1905—07 წლების რუსეთის ბურჟუაზიული რევოლიუცია, თუმცა მათ არ მიუღწევიათ ისეთი „ბრწყინვალე“ შედეგებისათვის, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში წილათ ხვდათ პორტუგალიის და ოსმალეთის რევოლიუციებს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშე იყო ნამდვილი ხალხური რევოლიუცია, ვინაიდან ხალხის მასსა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების უთრო ღრმა ფსკრები ჩაგვრა ყვლეფით გაწამებულნი დამოუკიდებლათ გამოდიოდნენ და მთელ რევოლიუციის მსვლელობას დაამჩნიეს თავის მოთხოვნილებათა ნიშანი და თავის ცდათა, რომ დანგრეულის ადგილას აეგოთ ახალი საზოგადოება.

ევროპაში 1871 წელს ხმელეთის არც ერთ მხარეში პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას არ წარმოადგენდა.

ხალხური რევოლიუცია, რომელნიც ნამდვილ უმრავლესობას ჩააბამდა მოძრაობაში, შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი, თუ ის გაერთიანებოდა პროლეტარიატსა და გლეხკაცობაზე. სწორედ ეს ორი კლასი შეადგენდა მაშინ ხალხს. ორივე კლასი გაერთიანებული იმით, რომ ბიუროკრატიული სამხედრო სახელმწიფო მანქანა სჩაგრავს, ტანჯავს და ყვლეფს. მათ მიერ ამ მანქანის დანგრევა, მისი დამტვრევა, აი ასეთია ხალხის ნამდვილი ინტერესების მოთხოვნილება, მისი უმრავლესობის, მუშების და გლეხების ინტერესებისა. ეს წინასწარი პირობაა ღარიბეს გლეხობის პროლეტარებთან თავისუფალ კავშირისა, ასეთი კავშირის გარეშე მტკიცე არ არის დემოკრატია და უიმისოთ შეუძლებელია სოციალისტური გარდაქმნა.

ცნობილია, რომ ასეთი კავშირისაკენ იკაფავდა გზას პარიზის კომუნა, რომელმაც ვერ მიაღწია თავის მიზანს მთელ რიგ შინაურ და საგარეო პირობების წყალობით.

მაშასადამე, როდესაც მარქსი ლაპარაკობს ნამდვილ ხალხურ რევოლიუციაზე, მას სრულიად არ ავიწყდება წვრილი ბურჟუაზიის თავისებურება (მათ შესახებ ის მრავალჯერ და ხშირად ლაპარაკობდა) და მკაცრათ იკვლევს კლასთა ფაქტიურ ურთიერთობას 1871 წ. ევროპის ხმელეთის სახელმწიფოებში არსებულს. მეორე მხრით ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მანქანის დამტვრევას მოითხოვს მუშების და გლეხების ინტერესი, ეს აერთიანებს მათ და უყენებს „პარაზიტთა“ დამხობის და მისი ახალზე შეცვლის საერთო ამოცანას.

**ნ. ლენინი**



# ლუიზა მიშელ *)

რომ მონა ხალხი ბორკილში ტანჯვის
ვით ოკეანე აღსდგება შფოთვით,
უსამართლობას ქვეყნიდან აღგვის,
მაშინ იხილავთ კომუნას ბრძოლით,
მაშინ კომუნას ქედს მოუხრიან
მისი მოსისხლე დღეს ჯალათები,
გაიხარებენ დღეს რომ ცრემლს ღვრიან
ტანჯვის უღელ ქვეშ შრომის შვილები.

ლუიზა მიშელ.

ქალი
კომუნარი სისხლის წვეთამდის.
ოვალი მცნმარტის. წევრი კომუნის.
ვით ალი ცეცხლის იწოდა ბრძოლით.
ვერსალი მის ხმას ისმენდა ოხვრათ.
მთვრალი მომავლის მზიური რწმენით
და საშიშარი ვით მძაფრი ქარი
სული კლდეებიდან გადმონაქროლი
მაღალი სულით, ქალი მებრძოლი.
და ვალიანის, რაულის. ფერეს
დელეკლიუზის, რიგის და ვალეს
არ ახარებდა სისხლიან ტიერს
და მის ჯალათებს, მტრებს ვერსალელებს.
და დღეს ლუიზას ის გაახარებს,
რომ ოქტომბერით აღსდგა კომუნა,
ახალ ცხოვრების და ახალ წესებს
ძველი სამყარო გადაეღუნა.

**სანდრო ეული.**

❋❋❋

*) პარიზის კომუნის ერთი თვალსაჩინო წევრი, პოეტი ქალი, რომელმაც კომუნის დროს დააარსა პარიზის მუშა ქალების ცენტრალური კომიტეტი.

ს. ე.

# პარიზის მუშა 1871 წ.—პეტერბურგის პროლეტარი 1917 წ.



კომუნარების კედელი. სურათი გადაღებულია 1871 წლის მაისის 28-ს.

ერთი იმ უხეში, დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად სამარცხვინო დაპირისპირებათაგანი, რომელსაც მიმართავს კაუცკი კომუნისა და საბჭოთა რუსეთის შედარების დროს, ეხება პარიზის 1871 წლისა და რუსეთის 1917—19 წლების პროლეტარიატის ხასიათს, პირველს კაუცკი სახავს, როგორც რევოლიუციონერ ენტუზიაზისტს, რომელიც მზად არის თავი დასდოს უმაღლესა მიზნებისათვის, მეორეს კი,—როგორც ეგოისტს, გაიძვერას, სტიქიურ ანარქისტს.

პარიზის მუშას ზურგს უკან აქვს სავსებით განსაზღვრული და გარკვეული წარსული, და მას არ ესაჭიროება რევოლიუციონური რეკომენდაცია ან და დაცვა ეხლანდელი კაუცკის ქება-ხოტბისაგან. მიუხედავათ ამისა, პეტერბურგელ პროლეტარს არა აქვს და არც შეი ძლება ჰქონდეს რაიმე საბუთი გვერდი აუხვიოს თავის გმირ უფროს ძმასთან დაპირისპირებას. პეტერბურგის მუშათა განუწყვეტელი ბრძოლა სამი წლის განმავლობაში—პირველად ხელისუფლების დაპყრობისათვის, შემდეგ მისი შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის—წარმოადგენს განსაკუთრებით იშვიათ მატიანეს კოლექტიური გმირობისა და თავდადებისას, რომელსაც იგი იჩენდა სიმშილობის, სიცივის, ტანჯვა-წამებისა და განუწყვეტელი საშინელი საფრთხის წინაშე. კაუცკის კომუნარების საუკეთესო ნაწილთან შედარებისათვის მოჰყავს რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე უფრო ბნელი ელემენტები. იგი ამ მხრით არ განსხვავდება ბურჟუაზიულ სიკოფანტებიდან, რომელთაც მკვდარი კომუნარები მუდამ უფრო მოსაწონად მიაჩნიათ, ვიდრე ცოცხლები.

პეტერბურგის პროლეტარიატმა ხელისუფლება დაიპყრო 45 წლით უფრო გვიან პარიზის მუშებზე. ამ დრომ ჩვენ დიდი უპირატესობანი მოგვანიჭა. ძველი, ნაწილობრივად ახალი პარიზის ხელოსნური, წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი, სავსებით უცხოა პეტერბურგისათვის, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მეტად შემჭიდროებულ მრეწველობის ცენტრს მთელ მსოფლიოში. ეს უკანასკნელი გარემოება მეტად გვიადვილებდა ჩვენ აგიტაციისა და ორგანიზაციის ამოცანებს და აგრეთვე სისტემის დამყარების საქმესაც.




ტუსაღების დათვალიერება. ხვრეტდენ ყველას, ვისაც კი ხელი თოფის წამლით ჰქონდა გასვრილი.

ჩვენ პროლეტარიატს იოტის ოდნადაც არ ქონებია უმდიდრესი რევოლიუციონური ტრადიციები საფრანგეთის პროლეტარიატისა. მაგრამ ჩვენი მუშების უფროსი თაობის ხსოვნაში ამ რევოლიუციის დასაწყისისას ჯერ კიდევ მაგრად იყო აღბეჭდილი დიადი გამოცდილება 1905 წლისა, მისი მარცხი და მის მიერ ალთქმათ გამოცემული შურისძიების გრძნობა.

რუსეთის მუშებს, საფრანგეთის მუშების მსგავსათ, არ გაუვლიათ დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის ხანგრძლივი სკოლა, რომელიც განსაზღვრულ ეპოქაში წარმოადგენდა პროლეტარიატის პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან ფაქტორს. მაგრამ, მეორეს მხრით, რუსეთის მუშათა კლასის გულში ვერ მოასწრო ჩამოყალიბებულიყო ის სასოწარკვეთილების წუხილი და სკეპტიციზმით დასნეულება, რომელიც განსაზღვრულ, ვიმედოვნებთ, უკვე ახლო მომენტამდე ბორკავენ საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნებისყოფას.

პარიზის კომუნამ განიცადა სამხედრო დამარცხება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოი ჭრებოდენ ეკონომიურ საკითხები. მიუხედავათ პარიზის მუშების შესანიშნავი სამხედრო თვისებისა, კომუნის სამხედრო ბედი ერთბაშად გამოირკვა, როგორც უიმედო რამ: გაუბედაობამ და შეუთანხმებლობამ ზედაწრეებში წარმოშვეს დაქსაქსვა დაბალ წრეებში.

ნაციონალური გვარდიის ჯამაგირი ანგარიშებში ტარდებოდა ისე, რომ იგი ეძლეოდა 162.000 ჯარის-კაცსა და 6.500 ოფიცერს; მაგრამ იმათი

რიცხვი, ვინც მართლაც მიდიოდა საომრად, განსაკუთრებით აპრილის 2-ს უნაყოფო შეტაკების შემდეგ,—გაჭირვებით თუ უდრიდა 20—30 ათასს.

ცნობები სრულებითაც არ უტეხს სახელს პარიზის მუშებს და უფლებას არ გვაძლევს ჩავთვალოთ ისინი ლაჩრებათა და დეზერტირებათ, თუმცა, რასაკვირველია, დეზერტირობასაც ხშირად ჰქონდა ადგილი. ბრძოლის



კომუნარი დელეკლიუზი.

უნარიანი არმიისთვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია მმართველობის ცენტრალისტური და მტკიცედ ჩამოყალიბებული აპარატი. ეს კი კომუნას სრულებით არ გაჩნდა.

კომუნის სამხედრო უწყება, ერთი ავტორის სიტყვით, წააგავდა ბნელ ოთახს, სადაც ყველანი ერთმანეთს ეჯახებიან. სამინისტროს კანცელარია გავსებული იყო ოფიცრებით, უბრალო გვარდიელებით, რომელნიც მოითხოვდენ სამხედრო საჭურველს, სურსათ-სანოვაგეს და რომელნიც მუდამ სჩიოდენ, რომ მათ თითქოს არავინ სცვლიდა. მათ გზავნიდენ საკომენდანტოში.

„ზოგი ბათალიონები რჩებოდენ თხრილებში 20—20 დღე—და ეს მაშინ როდესაც სხვები მუდამ რეზერვში იდგენ. ამგვარმა უთავბოლობამ ბოლო მოუღო ყველაზე ადრე დისციპლინას. მამაც პირებმა ადრევე მოისურვეს, რომ ისინი მხოლოდ თავის თავისაგან ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. სხვები გაურბოდენ სამსახურს. ასევე იქცეოდენ ოფიცრები: ზოგი მათგანი სტოვებდა თავის სადარაჯოს, რომ მიშველებოდა მეზობელს, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული: ზოგი თავის ნებით მიდიოდა ქალაქში“... (პ. ლავროვი. „პარიზის კომუნა 1871 წ.“).

ასეთი რეჟიმი შეუძლებელია დაუსჯელი დარჩენილიყო, კომუნა ჩაალრჩვეს საკუთარ სისხლში. მაგრამ ამ მხრით კაუცკის მოეძებნება უმაგალითო სანუგეშო რამ:

„ომის წარმოება,—ამბობს იგი თავის ქნევით,—ეს ხომ საერთოდ სუსტი მხარეა პროლეტარიატისა“.

ეს პანგლოსისათვის ღირსეული აფორიზმი არაფრით არ ჩამოუვარდება კაუცკის მეორე დიად აფორიზმს—სახელდობრ „მას, რომ ინტერნაციონალი არ წარმოადგენს გამოსადეგ იარაღს ომის დროს, რადგან იგი მთელი თავისი არსებით „მშვიდობიანობის იარაღია“.

ამ ორ აფორიზმში არსებითად ეხლანდელი კაუცკი—სავსებით, მთლიანად, ე. ი. ცოტათი მეტია არარაობაზე. ხომ ხედავთ, ომის წარმოება, საერთოდ, სუსტი მხარეა პროლეტარიატისა, მით უმეტეს, რომ არც ინტერნაციონალი იქნებოდა გამოსადეგი ომის ხანისათვის. კაუცკის გემი შენდებოდა ტბებისა და მდორე წყლებისათვის და არა გაშლილი ზღვისა და ქარიშხალიანი ეპოქისათვის. თუ ამ გემს ძრო გამოუტყდა, შიგ წყალი შევიდა და ეხლა იგი ნელ-ნელა მშვენივრად იძირება, ამის მიზეზია ქარიშხალი, ზედმეტი წყალი, ნებისყოფის გადამეტება და საერთოდ მთელი რიგი წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებათა. რომელთათვისაც კაუცკის არ აუშენებია თავისი შესანიშნავი ინსტრუმენტი.

საერთაშორისო პროლეტარიატი თავის მიზნად ისახავდა ხელისუფლების დაპყრობას. მიუხედავად იმისა. ეკუთვნის თუ არა „საერთოდ“ სამოქალაქო ომი აუცილებელი ატრიბუტს „საერთოდ“ რევოლიუციისას, უეჭველია, უდაოა ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის წინსვლამ, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში, გერმანიაში, ყოფილი ავსტრო-ჰუნგრეთის ნაწილებში მიიღო გაცხარებული სამოქალაქო ომის ხასიათი, და ამასთან, არა მარტო შინაურ, არამედ საგარეო ფრონტებზედაც. თუ ომის წარმოება პროლეტარიატის სუსტი მხარეა, ხოლო მუშათა ინტერნაციონალი კი გამოსადეგია მხოლოდ მშვიდობიანი დროისათვის, მაშინ ჯვარი უნდა დაუსვათ რევოლიუციას და სოციალიზმს, ვინაიდან ომის წარმოება წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ მხარეს კაპიტალისტური სახელმწიფოებისას, რომელნიც უბრძოლველად, არ ჩაუგდებს ხელში პროლეტარიატს ძალა-უფლებას. მაშინ ჩვენ ის-ღა დაგვრჩენია, რომ, ეგრედ წოდებული, „სოციალისტური“ დემოკრატია გამოვაცხადოთ კაპიტალისტური საზოგადოების და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის უბრალო ხაზად, ე. ი. აშკარად დავადასტუროთ, რასაც პოლიტიკაში სჩადიან ებერტები, შეიდემანები, რენოდელები და რომლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ სიტყვიერად თითქოს ილაშქრებს თვით კაუცკი.

ომის წარმოება იყო კომუნის სუსტი მხარე. სწორედ ამიტომ დამარცხდა იგი. და ასე დაუნდობლად გასრისეს იგი!

უნდა დაუბრუნდეთ, სწერდა თავის დროზე შედარებით საკმაოდ ზომიერი ლიბერალი ფიო,—სულლას, ანტონიის, და ოკტავიის პროსკრიპციებს, რომ შეხვდეთ ასეთ მხეცურ ჯალათობას კულტუროსან ერების ისტორიაში. უკანასკნელი ვალების დროის რელიგიური ომები, ბართლომეს ღამე, ტერორის ეპოქა მასთან შედარებით მხოლოდ ბავშვების თამაშს მოგვაგონებენ. მხოლოდ ერთი უკანასნელი კვირის განმავლობაში პარიზის ქუჩებში მოაგროვეს ფედერიული ინსურგენტების 17 000 გვამი... ხოცავდენ და ქლეტდენ ჯერ კიდევ ივნისის 15-ს“.

„ომის წარმოება ხომ საერთოდ სუსტი მხარეა პროლეტარიატისათვის“.

სიცრუეა! რუსეთის მუშებმა დაგვანახეს, რომ მათ შესწევთ უნარი ხელთ იგდონ აგრეთვე „ომის იარაღიც“. ჩვენ აქ ვხედავთ გიგანტურ ნაბიჯს გადადგმულს წინ კომუნასთან შედარებით. ეს უარის თქმა კი არაა კომუნაზე,—ვინაიდან კომუნის ტრადიციების სრულებით არ მდგომარეობენ მის უსუსურობაში,—არამედ მისი საქმეების განგრძობაში. კომუნა იყო სუსტი. რომ დაგვემთავრებია მისი საქმე ჩვენ გავხდით ძლიერნი. კომუნა დაამარცხეს. ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე ვამსხვრევთ და ვანადგურებთ კომუნის ჯალათებს. ჩვენ შურს ვიძიებთ კომუნისათვის და კიდეც გადაუხდით სამაგიეროს.

***

იმ 177.000 ნაციონალურ გვარდიელთაგან, რომელნიც ჯამაგირს იღებდენ, ომში მიდიოდა მხოლოდ 20—30 ათასი მეომარი. ეს ციფრები წარმოადგენენ საინტერესო მასალას იმისთვის, რომ გამოვიყვანოთ დასკვნები რევოლიუციონურ ეპოქაში ფორმალური დემოკრატიის როლის შესახებ. პარიზის კომუნის



უკანასკნელი ბარიკადა ტურტიის ქუჩაზე, რომელიც აიღეს 28 მაისს 2 საათზე.

უკანასკნელი ბარიკადა ტურტის ქუჩაზე, რომელიც აიღეს მაისის 28-ს 2 საათზე.

ბედ-იღბალი სწყდებოდა არა კენჭის ყრაში, არამედ ტიერის ჯარებთან შეტაკებაში. 167000 გვარდიელი წარმოადგენს ამომრჩეველთა მთავარ მასას. მაგრამ ფაქტიურად, ბრძოლებში კომუნის ბედიღბალს სწყვეტდა 20—30 ათასი კაცი, ყველაზე მეტად თავდადებული მებრძოლი უმცირესობა. ეს უმცირესობა განმარტოვებულათ და თავდადებულათ გამოხატავდა უმრავლესობის ნებისყოფას. მაგრამ იგი მაინც უმცირესობა იყო. დანარჩენებში, რომელნიც კრიტიკულ მომენტში იმალებოდნენ და სოროებში შიძვრებოდნენ, არ იყვნენ მტრულად განწყობილნი კომუნის მიმართ. ისინი აქტიურად ან პასიურად მხარს უჭერდენ მას, მაგრამ ისანი იყვნენ უფრო ნაკლებათ შეგნებულნი და გაბედულნი. პოლიტიკური დემოკრატიის ასპარეზზე მათი ნაკლები შეგნებულობა შესაძლებელს ხდიდა მათსავე მოტყუებას ავანტურისტებისაგან, შემთხვევით პირებისაგან, მეშჩანური სალახანებისაგან და პატიოსანი უნიჭოთაგან, რომელნიც ატყუებდენ თავის-თავსაც. მაგრამ აშკარა კლასიური ბრძოლის დროს ისინი ცოტათ თუ ბევრად მიჰყვებოდენ და ეხმარებოდენ თავდადებულთა უმცირესობას. ამან კიდევაც ჰპოვა თავისი გამოსახულება ნაციონალური გვარდიის ორგანიზაციაში. კომუნის არსებობა, რომ გაგრძელებულიყო, ეს ურთიერთობა ავანგარდისა და მთავარი მასსის შორის თანდათან უფრო და უფრო მეტად განმტკიცდებოდა, ის ორგანიზაცია, რომელიც გამოიჭედებოდა და განმტკიცდებოდა აშკარა ბრძოლის პროცესში, როგორც მშრომელი მასსების ორგანიზაცია, გახდებოდა მათი დიქტატურის ორგანიზაციაში, შეიარაღებული პროლეტარიატის **დეპუტატების საბჭოთ.**

**ლ. ტროცკი.**

# პარიზის კომუნის გედი

საუკუნეთა ტირანია...
კვნესა და დრტვინვა...
ცეცხლი და ყინვა...
ისტორიამ მოინანია
სვლა, ჟანგიანი!..
უზანგიანი
ფეხი ჰკრა მერანს და ააგელვა
ფაფარ აყრილი
ცაში აჭრილი
ორთქლი მიწისა აფეთქდა ელვად!
მოედო პარიზს,
დასწვა ბჭე კარის
და იქ ალმართა სხვა ციტადელი!
მაგრამ ცბიერი
აღსდგა ტიერი,
მასთან გალიფეც, ეგ მიწის მგელი,
და სისხლის მლვრელი
ვერსალის ველი
პარიზისაკენ უტევდა ჯარებს!..
ვერ შეიმაგრა...
საათმა დაჰკრა!
დრეკა დაეტყო მხნე კომუნარებს...
გატყდა ძლიერი!..
დათვრა ტიერი:
პირში ვერ იტევს ნერწყვს და დორბლს,
როს ნაოხარზე, მლაშეს,
ტყვიის ხარხარზე—
წამოიმართა მის წინ პერ-ლაშეზ!..

**ნ. ზომლეთელი.**

# ◂▸ გედის სიკვდილი ◂▸

სასიკვდილოდ დაჭრილი გედი უკანასკნელად შემოსძახებს ხოლმე საუცხოვო სიმღერას და გულისაკლავ მელოდიურ ჰანგებად დაჰლევს ხოლმე სულსო სამარადისოდ.

ბევრჯერ გამიგია ეს ზღაპარი „გედის სიმღერად“ წოდებული. მრავალჯერ წამიკითხავს იგი მგოსანთა გოდებაში, მაგრამ ჯერ კი არ მეხილა ნამდვილად—თუ როგორია სიმღერა გედისა სიკვდილის წინ.

მრავალჯერ მენახა გედი, მაგრამ არ გამაგო სიმღერა მისი. ნუ თუ იგი არასდროს არ მღერის მთელ სიცოცხლეში და მხოლოდ სიკვდილთან მისალმების დროს პირველად აღმოსთქვამს მწყობრ ჰანგებს და ამ ჰანგებში ამეტყველებს ტრაგიკულ წუთებს თავის სიცოცხლისას?

ეს სიმღერა, უეჭველია, არ უნდა იშობოს ჩვეულებრივ ჰანგეისაგან: მასში უნდა ისმოდეს სულ სხვა კვნესა, ვიდრე ტყის მგოსნის სტვენაში. უნდა იშვებოდეს სხვა ნეტარება და სიხარული, ვიდრე ვხედავთ მას ცელქი მერცხალის ჭიკჭიკ-ჟღურტულში.

ოჰ, ნეტავ გამაგებინა, თუ როგორ მღერის გედი უკანასკნელად და შემდეგ მისი სიმღერა, დაე, თუნდა ჩემ „სიმღერადაც“ კი გაიხდარიყო!

ყოველ დღიურ ნატვრად გარდიქცა ჩემთვის ეს სურვილი და გადავსწყვიტე—უეჭველად გამეგო სადმე „გედის სიმღერა“.

—

როგორც იქნა ვეღირსე. ვიპოვე.

ქვა-დ-ქცეულივით უძრავად ამოვფარებივარ ფუტურო თუხას. თეთრი გედი კი მშვიდათ დასცურავს სარკესავით სწორე ტბაზე თანაც ფრთხილობს. ყოველ წამს ფხიზლად იცქირება ირგვლივ. ეშინია—მუხანათი ადამიანი არ მიეპაროს რომელიმე ჩირგვიდან? თუ ელოდება სხვა გედს—რომელთანაც ენატრება ერთად ჰუკჰუკი, ერთად ცურვა, ერთად ნავარდი?

რამდენჯერმე რაღაცა დაიყივლა ნელა.

წინასწარ გრძნობამ შეაშფოთა? თუ ლოდინით დაქანცული მოუწოდებს თავის მეგობარს?

ჩემი თვალი და თოფი ერთად მისჩერებიან მოცურავე გედს. ისე მოულოდნელად აღარ ვესწრაფი სანატრელ წუთს: იგი ჩემ ხელშია. აღარსად წამივა. მხოლოდ ჟინი მაქვს დავსტკბე თვით გედის ცურვით, მის სითეთრით, მის სიკოხტავით, მისის სიცოცხლით...

თანაც ვისვენებ: მინდა მეტის სიფხიზლით, მეტის სასოებით მივეგებო სასურველ წამს.

აი, ამ ყელიდან, **ამ სწორე ყელიდან ჩქარა გავიგებ სიმღერას მომაკვდავ** არსებისას.

არა! მასში არ უნდა ისმოდეს სიცოცხლის წიაღიდან წარმოშობილი მწუხარება ან სიხარული. მასში უნდა ხმოვანდებოდეს რაღაც თვით სიცოცხლეზე და სიკვდილზე ძლიერი. რაღაც მსოფლიო, უკვდავი, სამარადისო.

ეს ხმა უნდა იყვეს შეერთებული სიმღერა მოკვდაობისა და უკვდაობისა, მიწისა და ცისა, სუსტისა და ყოვლად-შემძლებლისა.

იქნებ სჯობია, რომ სრულიად არ გავიგო ეს ხმა და მხიბლავ საიდუმლოებით მოცული ისევ მაცდურ წარმოდგენად ინახებოდეს იგი ჩემს გულში?

დასცურავს თეთრი გედი. ფხიზლად იცქირება აქეთ-იქით. ვიღაცის ეშინია. ვიღაცას ელოდება. და ის კი არ იცის, რომ ერთი თვალის დახამხამების შემდეგ იგი დაიწყებს სასიკვდილო სიმღერას, უკანასკნელ სიმღერას...

რაღაცამ შეაშფოთა. შეშინებულმა მარჯვედ გაშალა ფრთები...

თითქოს ჩემდა უნებლიედ იგრიალა თოფმა და ფოთებ-დაწყვეტილი ისევ დაეცა ძირს დაჭრილი გედი.

არ მოკვდა. იგი მხოლოდ დაიჭრა.

მე ვდგევარ ისევ გაქვავებული და ველოდები... ველოდები... მხოლოდ გული ძლიერის ღელვით აჯახება მკერდს, თითქოს ჰლამობს—გაანგრიოსო.

დაჭრილი გედი კი იტანჯება: გაშლის ფრთებს, ასცილდება მიწას და ჰაერში მოწყვეტილი ისევ დაეცემა ძირს. ასწევს თავს, განივრად აღებს ნისკარტს, რაღაცას ლუღლუღობს და მოწყვეტით დაეცემა ხოლმე ფრთებზე.

სიმღერა! სიმღერა!

რატომ არ ისმის სიმღერა!

ისევ დაიწყო ბრძოლა. ისევ ასწია თავი მაღლა. ნისკარტიც გააღო. ძლივს!... ძლივს!...

მაგრამ სიმღერის ნაცვლად რამდენჯერმე



**დახოცილი კომუნარები.**

დაიყივლა გულშემზარავად და ისე დაეცა ძირს.

შესწყდა ბრძოლა. მოკვდა გედი. მოკვდა. უსიმღეროდ...

სიმღერის ნაცვლად გავიგე მხოლოდ საშინელი ყივილი, რის გამოც თრთოლვა დავიწყე, თმები ყალყზე დამიდგენ.

ნუ თუ ეს ყოფილა უკანასკნელი სიმღერა გედისა?

ნუ თუ სცდებიან ყველა მგოსნები? ნუ თუ ამდენ ხანს სცოცხლობს ეს ტყუილი და არას დროს არ სჭკნება მასში ჩანერგილი სილამაზე და პოეზია ესოდენ ძლიერი და გულის ამბოძველი?

როგორც იქნა გამოვათრიე მკვდარი გედი ნაპირზე. გულ-მოკლულმა გადავატრიალე, გადმოვატრიალე და ვაი, ჩემ თავს!—თურმე ერთი საფანტი შიგ ყანყრატოში კი გასჩხიროდა.

ნუ თუ არა მღერის გედი არას დროს? თუ არ იმღერა მხოლოდ ჩემმა გედმა ყელში დაჭრილმა?...

ლევ. მეტრეველი.

# კომუნის ჯალათები



ადამიანი, რომელიც იცინის"—ტიერი.



გენერალი გალიფე.

# ეპიზოდი მუშათა ცხოვრებიდან

I

ქარხანაში ვიწყებ ამ პატარა ეპიზოდს, თითქო მოთხრობას. წარმოიდგინეთ ის დრო დღისა, როდესაც ქარხანა ქნეშავს, სუნთქავს, მაზუთით გამძღარი; მუშები კი ვით დირიჟორნი მართავენ მანქანის სხვა და სხვა ნაწილებს. სხვებთან ერთად გიორგი და სერგოც აძლევენ საჭმელად ვალცებს გავარვარებულ ლითონის ნაჭრებს. ორთავე პერანგის ამარა ოფლში იწურებიან, მაგრამ დაღლილობას მაინც არ გრძნობენ.

— ჰო, რა მენანება სერგო ქარხნის მოშორება?!

— მე ქარხნის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. დღისით ვიმუშავებთ, ღამით კი ჩვენს მუშფაკში ცოდნას შევიძენთ.

დამშვიდებით მიუგო სერგომ და გავარვარებული შანთი კიდევ მიაწოდა გაუმაძღარ ვალცებს.

— აბა თქვენ იცით, როგორ მუყაითობას გამოიჩენთ სწავლაში.

ჩვენ ვიზეიმებთ იმ დღეს, როცა მუშა „სპეცები"—ინჟენრები წამოგვეზრდება...

— ვეცდებით, ვეცდებით! სიხარულით მიუგეს სერგომ და გიორგიმ... რვა საათია, მუშაობის ვადა შესრულდა. საყვირებმა ერთი მძიმედ ამოაბოლა კვამლი, რამდენჯერმე დაიკივლა და ჩქარა ნაბიჯით მუშები თავთავიანთ ბინებისაკენ მიეშურებოდნენ.

II

გიორგი და სერგო მუშფაკში არიან. კარგად სწავლობს გიორგი, სერგო კოჭლობს. არც ერთ გაკვეთილებს არ აცდენს გიორგი. სერგო კი ხშირად, მით უმეტეს სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ გაკვეთილების გამოტოვება მოუხშირა.

გიორგის მიზანი სულ სხვაა.

— ო, ბედნიერი ვარ. მუშა სწავლის ღირსი შევიქენი. ო, როდის იქნება ის დრო როცა მე ინჟენერი ვიქნები. მალე, მაგრამ ასე მგონია საუკუნე სჭირია. ჩემი თავი თითქო მუქთა ხორად წარმომიდგენია... მალე ავანაზღაურებ ერთს ათასად!..

III

მუშფაკის მოლარეს კარებთან რიგი გაუმართავთ. ფულს ელიან. ჰა მოვიდა მოლარე ყველა აღტაცებაშია: პირველმა ფული მიიღო. —რამდენია ბიჭო, რამდენი!—ოცი მანეთი. გიორგიმ თავი ანგარიშს მისცა..—ჰო, მეყოფა, წინგსაც ვიყიდი. აი... ფიზიკას. ამ დროს გიორგიმ თავი მაღლა ასწია; უცებ უკან მოიხედა.—შენ სერგო!—დიახ სერგო, ფული მინდა ავიღო, სტიპენდია.—კაცო, რა წითელ პარასკევსავით გამოჩნდები ხოლმე. სკოლაში რათ არ დადიხარ?

— ჰო... საქმე მქონდა. გიორგის ჯერიც მიდგა. ორივე სალაროში შევიდნენ. ფული აიღეს. სერგო ელვასავით გაჰქრა.

— სულელი. ეხლა ამ ფულს რესტორანში, ან სამიკიტნოში, ღვინოში ჩაახრჩობს, ცოლშვილი კი სიმშილით ეხოცება,—სთქვა გულში გიორგიმ და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გაეშურა...

VI

პლეხანოვის პროსპექტზე. სახლის № 121 აქ, რესტორანში თითქო ქორწილია.—ეჰ, მიდი, ალბათ ღვინო სჭირია! უბრძანა მოსამსახურეს „ხაზეინმა".

— ღვინო!.. ქალმა სტაცა ორ ბოთლს ხელი და გაირბინა. მაგიდას ირგვლივ ექვსი კაცი იჯდა. შუაში ერთი ქალი,—ჰო რა მიყარს კახური!.. სთქვა მან რუსულად. ერთ მათგანმა მოსამსახურე ქალს თვალი-თვალს გაუყარა. მოეწონა.—არ შეიძლება გაგეცნოთ, მომწონხართ მეტად! უთხრა მან მოსამსახურე ქალს რუსულად.

— შეიძლება, უპასუხა მან მორცხვად.—მე სერგო გ...შვილი, მომწონხართ მეტად განუმეორა სერგომ, ადგა და ძალაუნებურად ლოყაზე აკოცა. ქალმა იუცხოვა: სერგომ ფანქარი ამოიღო, რაღაცა ქაღალდის ნაგლეჯზე დასწერა, და ლუბას ხელში მისცა.—კარგი, რა წაიკითხა თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დააქნია, ამ დროს მოესმა კაკუნი და პირი იბრუნა...

— როიალი. როიალი! სამი ლოთები როიალს გარშემო მოეხვიენ. უკრავენ როიალზე. ცეკვა... ისმის უხეირო სიმღერა...

— თ...თქვენ რამმდენი გ...გი...ნდათ? იანგარიშა „ხაზეინმა":—ათი მანეთი ჩერვონცით, უკაცრავათ შეცდომით ვიანგარიშე, თუთხმეტი მანეთი და ხუთი კაპეიკი, თქვენზე კიდევ ნაკლები. სერგომ ძლივს ჯერ კიდევ გაუხსნელი ფულები მაგიდაზე. დაუგდო.—იქიდან რამოდენიმე მერგება!.. „ხაზეინმა" რამდენიმე ბონი ხელში მისცა. სერგოს ისიც იქვე დაუცვინდა.

— ლიუბა! ლიუბა!.. ძლივს იყვირა სერგომ და ლიუბაც იქვე გაჩნდა.—მე ცოლი კი არ მყავს.., ცოლათ წამომყევი! უთხარა სერგომ და ლიუბას ლოთურად მკლავებში ხელები მოუჭირა. უნებლიეთ დასთანხმდა ლიუბა. თავის ხაზეინს ანგარიში გაუსწორა. „ხაზეინმა" მისცა შრომის ხელფასი დაკლებით რადგანაც ეს განცხადება უდროოთ ჩასთვალა. წავიდნენ; რესტორანში კი ხმაურობა არ შეწყვეტილა.

V

ლიუბას ოთახი ცალკე ჰქონდა. ორივე იქ დაბინავდნენ. სერგო ცოლთან ხანდახან გამოჩნდებოდა. ცოლმა ქმარის ეს ახირებული ამბავი არ იცოდა. მეორე კვირას სერგომ განუცხადა ლიუბას: სოფლიდან წერილი მომივიდა, მამა მომკვდარა ჩემი და უნდა წავიდე. არ ესიამოვნა ეს განცხადება ლიუბას. იცრუა სერგომ. ლიუბა ვენერიულად ავადმყოფი უმეშვრად დარჩა.. თავის „ხაზეინთან" მივიდა მაგრამ უარი უთხრეს მიღებაზე.

VI

კვირაში ორ-სამ გაკვეთილს უსმენს სერგო მუშფაკში. გუშინ მიიღო კიდევ მეორეჯერ სტიპენტია და ლოთი, ცოლს მიუვიდა. ცოლქმარსშორის ჩხუბი ატყდა, უკმაყოფილება გამწვავდა.

VII

განცხადებას კითხულობდენ. დღეს ჯგუფის სამეულთა კრებაა. როდის? გაკვეთილების

შემდეგ. სამეულთა კრება შესდგა. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელიც არის.

დღის წესრიგში? აკადემიური წმენდა უნდა ჩატარდეს.

როგორ, ვინ გამორიცხონ? წესი ასეთია: სამოც გაკვეთილზე მეტი ვინც გააცდინა უმიზეზოთ, გამოირიცხოს, სწარმოებს მუშაობა, ათი გაკვეთილი მაინც ყველას აქვს გაცდენილი. აგერ გიორგი ღოშვილი, გაკვეთილი სულ არ გამოუტოვებია. რომელ ჯგუფშია? მეოთხე ჯგუფში... კარგად სწავლობსო ამბობენ. უხარიათ.

— აი, სერგო გ-შვილი, ოხ, რამდენ გაკვეთილები გამოუტოვებია, ესეც სტიპენდიანტი—ორასზე მეტი... იშვიათად დადის, ამბობს მისი ჯგუფის სამეული. გამოირიცხოს! გამორიცხეს... ასე დამთავრდა აკადემიური გაწმენდა. ბევრი არაა გამორიცხული. ხუთასზე მეტ ისმენელებში სულ თითებზე ჩამოსათვლელია.

ღამის თორმეტმა საათმა დაჰკრა და კრებაც დაიხურა.

VIII

გაიგო სერგომ თავის გამორიცხვა. ნახევარი თვე გავიდა ამის შემდეგ. სერგოს სინქეჯნა დაწყო.—ქარხანას მომაშორეს, აყავლესათვის გამგზავნეს. დიდი იყო დავალება: ცოდნით შეიარაღებული, ქარხანაში დაბრუნდიო, მე კი?!.. აქ შეჩერდა სერგო და თავი დაბლა დაღუნა. ძლიერ დაღონდა.

— სერგო შენ? გამარჯობა! არ გესმის? ქალი მიუხლოვდა და ხელით შეეხო.

— ლიუბა?.. უცებ აცქვიტა თავი. სერგომ და ლიუბას დანახვაზე ფერი ეცვალა.

ლიუბა მეტად გამოცვლილილი იყო. ხერხემალ მოღუნული, თითქო დაბერებულაო. სახე დამჭკნარი.—როდის ჩამოდი სოფლიდან!.. რა ძლიერ დაღონებულხარ, ჰკითხა მან სერგოს.

— დღეს, დღეს ჩამოვედი, ტუჩების კანკალით უპასუხა სერგომ.

— დღეს ჩამოხვედი?... რა დაგიშავე? სერგომ დანაშაული იგრძნო.—მაპატიეთ!...გთხოვ გამშორდეთ!.. მე... გთხოვთ! თან ხმა მაღლა დაიყვირა სერგომ ბრძანების კილოთი და სიბრალული გულში უფრო იგრძნო.

ლიუბამ ერთი მიაკურთხა და წავიდა, არ იცოდა სად მიდიოდა. სერგომ თვალი გააყოლა...

— აგერ გიორგიც მოდის, ჩემი ამხანაგი.

სერგოს შერცხვა არ უნდოდა გიორგი ენახა.

— გამარჯობა სერგო! სადახარ კაცო?.

სერგომ სალამი მისცა და სირცხვილის ნიშნათ თავი ჩაუღუნა, ცოტა ხანს იყო ასეთ მდგომარეობაში. გიორგი ჩაწვდა ამხანაგის გულს.

— შენი ბრალია მე ხომ გეუბნებოდი.

— რა ვქნა გიორგი მირჩიე მითხარი რამე, სწორ გზაზე დამაყენე!

— კაცო, რით ცხოვრობ, როგორ ცხოვრობ, შეეკითხა გიორგი.

— ჩემი ცოლი სამსახურშია...

— ცოლი გარჩენს მერე?.. არ გრცხვენია?..

— მრცხვენია გიორგი... მიშველე დამაყენე სწორ გზაზე!.. არ მიმიღებენ მუშფაკში კვლავ?... ქარხანაში, მისვლა მრცხვენია...

— მუშფაკში; თავი გაიქნია გიორგიმ,— იყავი, ვერ მოიხმარე, დამნაშავე ხარ დიდი და სასჯელი გეკუთვნის.

— გიორგი ვიღუპები, შენ ჩემი გულითადი ამხანაგი იყავ, დამაყენე სწორ გზაზე... პირობას გაძლევ, ღვინო ერთი წვეთიც არ დავლიო.

— სტყუი, ვერ შეასრულებ!

— გფიცავ... პირობას გაძლევ... რავქნა?..

გიორგიც ფიქრს მიეცა...

— გიშველი მხოლოდ ერთი პირობით, რაც გითხრა შეასრულო უნდა ყველაფერი...

— შენი ჭირიმე! აღტაცებული სერგო მოეხვია ამხანაგს. ორივენი წავიდნენ. სერგოს ბინაზე მიდიან.

IX

სერგოს ცოლი მარიამი სამსახურიდან დაბრუნებული, სახლში დახვდათ, მიტრო და მაკარიც დაბრუნდნენ შრომის სკოლიდან ღარიბულ ოთახში მარიამმა მიიპატიჟა სტუმარი. ქმარს ცივი თვალით შეხედა. მარიამი გიორგის ყველაფერში გამოუტყდა, რა გლახა მდგომარეობაში იყო „უჭკუო" ქმრის მეოხებით. გიორგიმ გამოსწორების იმედი მისცა. არ სწამდა მარიამს ქმრის ჭკუაში მოსვლა. მაგრამ გულში იმედი იქონია მაინც. სერგომ კიდევ პირობა მისცა გიორგის, რომ ყველაფერში დაუჯერებდა. სამიკიტნოს და რესტორანს არ გავეკარებიო", სთქვა მან და რესტორანის ხსენებაში გაახსენდა წელმოტეხილი ლიუბა, სახეზე დაღონება აღებეჭდა, ძლიერ შეწუხდა.

X

სერგო პირობით, მუშფაკში კვლავ მიიღეს. გიორგი იყო თავდები. გიორგის სიტყვა კი სამოსწავლო ნაწილის გამგეს სავსებით სჯეროდა. თითქო საშწაული მოხვდა, უკვირდათ სერგოს ამხანაგებს. სერგო ერთი კვირაა რაც მუშფაკში დაიარება და ერთი გაკვეთილიც არ გაუცდენია. თურმე ნიჭიც ეტყობა, ჯერ კარგად სწავლობს.

მასწავლებლებსაც და ამხანაგებს უკვირთ, თან უხარიათ. წარმოიდგინეთ სერგოს გამოსწორება ეტყობა.

ჯერ არ გვჯერა. უცდით!.. მაგრამ დანაშაული?!.

მუშფაკელი **ფილიპე ნაროუშვილი.**

# ქალაქში

ქალაქს დავხედე, იყო ბოლში გამოხვეული,
ტანი შუქურა, მრავალ ფერი გამურულიყო,
და საყვირები გასძახოდნენ დაუღგრომელნი
როგორც მამლები ალიონში ყივის ყიულიყოს.

* * *

შრომის უბნები იზმორება საყვირის ხმაზე,
ქარხნების ეზოს მოასკდება მაშვრალთა ჯარი,
ტკბილი ღუღუნი და თანხმობა ალვიძებს შრომას
და ამ შრომაში რაღაც ჩუმი ხალისი არის.

**მუშა შაქრო ნავთლუღელი.**

# შრომის სამეფო

I

დილის 6 საათია.

ქარხნის ზორმა, ხმის მძლავრი გრიალით დაარღვია ღამის იდუმალი მყუდროება... მკვირცხლმა ტოროლამ „ტიავ-ტიავთ" გაისრიალა ცის ლურჯ ტატნობზე და ქვეყანას აცნო გათენება...

კიდევ ათი წუთი...

ქალაქის მძინარ ქუჩებს ალვიძებს მშრომელთა მძლავრი ფეხის ნაბიჯები.

II

გაჩაღდა ქურა...

მომართულმა მატორმა გადასწია მანქანის მძლავრი ღვედები და სიხარულით ათამაშდა უზარმაზარი ბორბლები.

ირგვლივ შრომა... შეუდრეკელი ბრძოლა გახურებულ რკინის შანთებთან.. ჰაერი მაზუთის სუნმა შთანთქა...

ქარხნის კალთებს ასველებს, მშრომელთა მონაწური ოფლის ნაკადი...

...აგერ ერთ ჯგუფში, ჩაქუჩის ხმაურთან ერთად გაისმა მშრომელთა ნელი სიმღერა.

მას ბანი მისცა მეორემ..

მეორეს, მესამეს და, უზარმაზარი ქარხანა შთანთქა შრომის ჰანგმა...

„ჩვენ შრომისა შვილები ვართ,
ახალს ვსჭედავთ ჩვენ სამყაროს.
ძველს ცეცხლით ვწვავთ, რომ ახლით
ქვეყნად მუშამ გაიხაროს!

—

შრომის ცეცხლით ჩვენ დავლეწავთ
მონობის და ტანჯვის კარებს,
გაუმარჯოს დიად შრომას
გაუმარჯოს პროლეტარებს!..

—

დაჰკათ! დაჰკათ! და ჩვენც ძლევის
ალუმართოდ მედგრად გული,
დეე, ტანჯვაში გაიფურჩქნოს
ნეტარება სიყვარული!..

—

ჩვენ შრომისა შვილები ვართ
ახალს ვსჭედავთ ჩვენ სამყაროს,
ძველს ცეცხლით ვსწვავთ, რომ ახლით
ქვეყნად მუშამ გაიხაროს!..

„მა-შ-შ დ-ა-კა-რი, მა-შ-შ და-კა-რი!.. ტივტივებს მანქანა და ელვის სისწრაფით აბრუნებს უზარმაზარ რკინის ბორბლებს...

III

ნაშუადღევის 3 საათია. ზორმა კვლავ დაიგრიალა და აცნო მუშებს დრო მუშაობის გათავებისა.

შეწყდა ჩაქუჩთა ცემა...

მანქანაც შეჩერდა. და უკანასკნელი ამოსუნთქვასთან ერთად ამოხდა ხმა უკანასკნელი: „შშშ-რრრ-მის სსსა-მე-ფო"..

**ონისიმე ქვიტირელი.**

# რევოლიუციის დღეები პეტროგრადში 1917 წელს

I

დაუსრულებელი ომი, სიმშილი, სიცივე.

ბრძოლის ველზე გასულ ჯარის-კაცთა უპატრონოდ დარჩენილი ცოლ-შვილი...

უპურობა...

დილიდან საღამომდე სუსხიან ზამთარში რიგში დგომა პურისათვის ყოველ დღე.

ბევრმა ოჯახმა უკვე მიიღო ცნობა თავის მარჩენელის ულმობელ სიკვდილის შესახებ.

გლოვა, ტირილი, გოდება...

წყევლა-კრულვა, შავი ძაძები... სტირიან მამას, ძმას, შვილს, ქმარს... ასეთია სურათები მუშათა უბნებში. ბოროტი დემონის გესლიანი ხარხარი უერთდება უბედურთა გლოვა-ტირილს... იგი დაფრინავს ოჯახიდან-ოჯახში და სტკბება უმწეო ხალხის უზომო ტანჯვით.

მხოლოდ ტანჯვა, მწარე სიცოცხლე, შავი სიკვდილი!..

II

სულ სხვაა ქვეყნის ბატონ-პატრონთა, მდიდართა უბნებში.

ელექტრონის სინათლით განათებული სასახლეები, დაუსრულებელი ლხინი, ქეიფი, კარგი სასმელ-საჭმელი.

ცეკვა, სიმღერა, მუსიკა.

სიცილ-ხარხარი, სიხარული, ალერსი არშიყობა, ბედნიერება...

უდარდელობა, უზრუნველობა...

თეატრები, კონცერტები, საღამოები...

ასეთია სურათები მდიდართა უბნებში.

გამანადგურებელი ომი მათ არ შეჰხებია. მათი ოჯახიდან არავინ გამოუგლეჯია. არავინ ჰყავთ დასატირი.

მათ არ იციან ცრემლი, მწუხარება, უბედურება, სიმშილი, სიცივე...

მათ არ ესმით გმინვა უბედურ, დამშეულ ხალხისა...

ხალხის უბედურება მათი ლხენაა, ხალხის ჭირი მათი ლხინია...

ხალხი მათთვის არაფერია.

ხალხი მათთვის მეწველი ძროხაა...

ხალხი შრომობს, იტანჯება, ოფლში იწურება...

ხალხის შრომით ბურჟუა სუქდება.—როდემდის?..

გაწყდა მოთმინების ძაფი...

გამოვიდა ხალხი ქუჩაში.

— პური მოგვეცით, პური!—გაისმა გუგუნით მძლავრი ხმა დამშეული ხალხისა.

დაიცალა მუშათა უბნები, ყველამ შუა ქალაქს მიატანა. ხალხი აბობოქრდა.

პოლიცია დაიმალა.

ხელმწიფე გაიქცა. ქალაქიდან.

სათათბიროს მემარცხენე დეპუტატნი ეცნენ ყაზარმებს.

— ძმებო, ამხანაგებო, ჯარისკაცნო!—გაისმა ყაზარმის კედლებს შორის მათი მძლავრი ხმა:—ომით გამოწვეულმა სიმშილმა შეაწუხა ჩვენ ძმათა ცოლ-შვილი, სიკვდილის ლანდი დასტრიალებს მათ თავს!.. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და პურს მოითხოვენ. როდესაც თქვენ გაგიყვანებენ ყაზარმიდან და გიბრძანებენ ამ უმწეო ხალხის დამორჩილებას, არ ესროლოთ: იგინი მხოლოდ პურს თხოულობენ; სხვა არაფერი უნდათ!..

ჯარის-კაცნი სდუმდენ:

— ხელმწიფე დაიმალა, ომი არ თავდება, მშიერი ქალები ქუჩაში გამოვიდენ და პურს თხოულობენ... ჩვენ მათ რად უნდა ვესროლოთ! ნუ თუ როცა მშიერი პურს გთხოვს, ის ამისათვის უნდა მოჰკლა?! არა, არასოდეს!..

— დამშეულ ხალხთან ერთად, მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი!..

III

ნევის პროსპექტის მთელ სიგრძეზე, ორივე მხარეს ჩამწკრივებულან ჯარის-კაცნი, ყაზახები. ჯარისკაცებს ხიშტები წინ აქვთ გაშვერილი, მზად არიან...

ქარხანა-ფაბრიკებში გაფიცული მუშები არხეინად მიდიმოდიან გაშვერილ ხიშტებთან, ყაზახთა ცხენების შუა... რას ნიშნავს ყველა ეს? ნუ თუ ჯარი ხალხთან არის? ეს ასეა...

დაიწყო ნამდვილი ამბოხება.

შეჩერდა მთელი პეტროგრადის ქარხანა-ფაბრიკები, სახელოსნოები. ბევრი სავაჭრო დაიკეტა.

პოლიცია არსადა სჩანს.

გაისმა ქუჩებში „მარსელიოზა“.

გამოჩნდა წითელი დროშების მიმდინარე ზღვა.

სამი მილიონი ხალხი მოქცეულა ქუჩაში.

ტრამვაი აღარ მუშაობს.

ღელავს, ბობოქრობს პეტროგრადის ქუჩები.

ვასილის კუნძულის ყველა ჯვარედინ ქუჩაზე ხალხი დაგროვილა—ერთმანეთს ახალ-ახალ ამბებს მოუთხრობენ, ზოგნი—ტყუილს, ზოგნი—მართალს...

— ხელმწიფე პსკოვში არის თურმე, გუჩკოვი მისულა და მისთვის უთქვამს: დაბრუნდი პეტროგრადში და სახელმწიფოს მოუარეო. ხელმწიფეს უარი უთქვამს დაბრუნებაზე...

— ეგრე არ არის,—ამბობს ვიღაც ოფიცრის მუნდირში,—ამ საათში მე სათათბიროდან მოვდივარ, საიდანაც მეფეს დეპეშა გაუგზავნეს და შეუთვალეს—თუ ოცდა ოთხი საათის განმავლობაში პასუხი არ მივიღეთ, ტახტიდან ჩამოგდებულად გამოგაცხადებთო...

— ეს კაი ამბავია!—მოწონებით იძახის ვიღაც.

გავანის მხრიდან დიდი პროსპექტით მოდის ჯარისკაცებით სავსე ორი „გრუზოვიკი“. ორთავეზე წითელი დროშა ფრიალებს.

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!!—იძახიან ჯარისკაცნი.

აღტაცებული ხალხი ესალმება რევოლიუციონურ ჯარისკაცებს.

წყლის სანაპიროდან მოჰქროლავს ყაზახთა „პატრული“. აკადემიის სტამბასთან მათ შეხვდენ მანიფესტანტები წითელი დროშით.

— გაუმარჯოს ყაზახებს!—იძახიან მანიფესტანტები.

— გაუმარჯოს მუშა ხალხს! გაუმარჯოს თავისუფლებას!—ისმის ყაზახებიდან პასუხად:—ურაა!!!

ისაკის სობოროსთან მოჰქრის ავტომობილი. შიგ სტუდენტები სხედან.

— ძირს ლოთი ნიკოლოზ მეფე, ძირს მეძავი, რასპუტინის საყვარელი დედოფალი!!.

გვარდიის ბულვარიდან მოდის რევოლიუციონური ჯარი წითელი დროშებით, იარაღასხმული. ამაღლების პროსპექტიდან მოდის ვითომდა ცნობილი სემიონოვის პოლკი, ნამდვილად კი იყო ამ ჯარის ფორმით გამოწყობილი პოლიციელები. შეხვდნენ ერთმანეთს.

— დაჰყარეთ იარაღი, დაგვნებდით!—იძახიან პოლიციელები.

— არასოდეს!—იყო პასუხად და გაისმა ჩახმახების ჩხარუნი.

რევოლიუციონურად განწყობილმა ჯარმა სწრაფად დაამარცხა პროვოკატორების რაზმი. ის გაიფანტა.

— ძირს პროვაკატორები, ძირს პოლიცია! გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს!.. ურაა!—ყვირის აღტაცებული ხალხი.

IV

27 თებერვალს მეფე ტახტიდან ჩამოგდებულად იქნა გამოცხადებული.

სათათბიროში ყველა მისი წევრები ერთად არიან თავმოყრილნი.

ქალაქის სხვა და სხვა კუთხიდან, მოდიან ჯარის ნაწილები მუსიკით, ზეიმით. ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას და ფიცს სდებენ, რომ ამიერიდან იგინი ემსახურებიან მხოლოდ რევოლიუციას.

მუშა ხალხი, ჯარი გაერთიანდა. ორთავენი გამოვიდენ რევოლიუციის დასაცავად.

ვინღა დარჩა გარიყული?

პოლიციელები, ჯაშუშები, მეფის ჯალათები...

აი სწორედ ამათ შეღებეს მუშათა სისხლით რუსეთის უსისხლო რევოლიუცია!..

სახლის ჩარდახებში დამალულებმა დაიწყეს ტყვიისმფრქვევლებიდან სროლა და სამასამდე მუშა სიცოცხლეს გამოასალმეს!.

ასეთი ვერაგული ქცევით მათ სამუდამოდ დაიმსახურეს რევოლიუციის, მუშა ხალხის ჯალათის სახელი, ხოლო მათგან დახოცილნი 27 მარტს დიდის დიდებით იქნენ დამარხულნი მარსის მოედანზე მთელი პეტროგრადის პროლეტარიატისა და ჯარის თანადასწრებით...

საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი, ბრძოლაში დაღუპულნო შრომის შვილნო!..

რევოლიუციონური პროლეტარიატი საბჭოთა რუსეთისა ღირსეულად დაგაფასებთ თქვენ და თქვენს საფლავს ძეგლით შეამკობს, რომელზედაც, სამუდამოდ აღბეჭდილი იქნება თქვენი სახელი!

**მუშა ნიკო ახლამაზიშვილი.**

# პარიზის კომუნა

ნიაღვარების მაგარი თქეში
მოადგა წარღვნათ ბობოქარ პარიზს,
და ტირანიის ძალა უხეში
მოკვდა, დახუჭა თვალი საპყარის.
იყო ხალისი და გაქანება
მოვარდნილ ძალთა გულის ხმიერი,
და ალესილი მახვილ დანებად
ქალაქთან ჯარით იდგა ტიერი.
ხანძარი სწვავდა სრა-სასახლეებს.
აქ, ბავშვებიც კი იყო თავხედი,—
რომ ცეცხლის მფრქვეველ მოვარდნილ დღეებს
აელო ხელში პარიზის ბედი.
ქარი ფრთას შლიდა მეტ გახელებით,
იდგენ რიგები ვით ძელქვის კორძი,
იბრძოდნენ მედგრად კბილით, ხელებით,
მსხვერპლათ მიჰქონდათ სისხლი და ხორცი.
დალურჯებოდა მინისტრს თვალები
და ჟრუანტელით დაპარბაცებდა,
რომ ეშმაურ ბედს მისი ძალები
მიჰქონდა მსხვერპლად რკინის კაცებთან.
სისხლის ნიაღვარს ეტყო ტლუ დენა.
მოჰქონდა სახლთა ბჭე მოგლეჯილი,
და შეამბოხეთ დროშების ფენა—
ღელავდა როგორც მწვანე ჯეჯილი...
ბედმა არ იცის სხვა გზა, სხვა ხიდი,
იყო ძლიერი თვალის გახედვა,
გადაამტვრიეს უხეში რიდე,
მონებს ზურგზე, რომ მეტ ტვირთად ედო!
ყვიროდენ: დაღლა ჩვენ არ გვატყვია,
ხმალს, პირზე ხმალი ზე შევაგებოთ!
ძმებო! არა გვაქვს დრო ვხვევდეთ ნატყვიარს,
წინ, პარიზისკენ, ამხანაგებო!
ყველა ხედავდა ძველი იშლება,
ტახტი რომ იქცა ბარიკადებათ;
იყო ძლიერი აქარიშხლება,
იყო კომუნა და თავდადება.
მაგრამ ამხედრდა წამების ჟამი
და ამუშავდა გილიოტინით;
გალიფეს გულში აღჰხდა შხამი
დაკვეთილ თავთ კი მძიმე ხროტინი.
გილიოტინა რიგს რიგზე მკიდა,
ამ დროს იხდიდა ზეიმს ვერსალი,
დიდ გამარჯვების უპეებიდან
ბედნიერებით ნაალერსალი...
დაეცენ გმირნი.. შეწყდა მხნე ბრძოლა
და აღარ ისის მარსელიეზა,
მაგრამ მათ ხსოვნა გადაისროლა
შრომის ლაშქარმა მთელ მსოფლიოზე!

**იონა ვაკელი.**

# მუშის სიმღერა

ლაჟვარდ ცაზე მზე მოსცურავს,
ცეცხლის წითელ ალიონით,
მოდის, მოქრის, ღრუბლებს ფანტავს,
წინ მიიწევს მშფოთვარ ბრძოლით.
მთელ სამყაროს წითლად მოსავს,
ავარვარებს ცეცხლის ალსა,
ეკალ-ბარდებს სწვავს და ბუგავს
გზას უკაფავს მომავალსა.
და ჩვენც მივსდევთ მის მძლე დროშებს,
გულის ძგერით, მუშურ მღერით,
ვანგრევთ, ვამსხვრევთ კეროპებს ყვლეფის
თოხით, ბარით, ნამგლით, კვერით.
ნანგრევებზე კოშკს ავაგებთ,
ზედ შევკიდებთ რკინის კარებს,—
და ამ კოშკში თავს მოუყრით
მთელი ქვეყნის პროლეტარებს!
მხოლოდ მაშინ დავისვენებთ
დავამშვიდებთ შრომის შვილებს,
მუდამ კვნესით, მუდამ ტანჯვით
ჭირ-ვარამში გამოზრდილებს!..

**გ. შინატეხელი.**

# მუშა მსახიობის იუბილე

(ნ. გოცირიძე)

ნიკო გოცირიძის პატივსაცემლად ოცდაათ მარტს გადახდილ იქნება იუბილე, ამითი აღინიშნება მისი ოცდაათი წლის შეუწყვეტელი მოღვაწეობა ქართულ სცენაზე.

ნიკო გოცირიძე—ეს თავისებური მოვლენაა ჩვენ თეატრალურ ცხოვრებაში. თავისებურია, როგორც იმ გზით, რომელიც მან განვლო აგრეთვე თავისი ნიჭით და მიღწევითაც.

იგი არის ნამდვილი მარჯვენის მუშა კაცი, რომელიც თანდათან გადაიქცა ჩვენ თანამედროვე თეატრის ბუმბერაზათ.

ხელობით იგი არის მღებავი და რკინის გზის სახელოსნოებში შეუწყვეტლივად ღვრიდა ოფლს უკანასკნელ ორ წლამდის.

სცენაზე გამოვიდა პირველათ ოცი წლის ჭაბუკი, ყოფილ „ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში“. ეს იყო 1893 წელს.



რამდენიმე ხანს თამაშობდა იქ და საკმაო ყურადღებაც დაიმსახურა.

მაგრამ ნიკო თავიდანვე დინჯი და მოფიქრებული კაცი იყო. უკეთესად რომ ვსთქვათ: იმისი დემოკრატიული ბუნება დიდი სიფრთხილით ზომავდა ყველაფერს და არ აჰყვა ადვილათ პირველ მოპოვებულ გამარჯვებას.

იგი ისევ განაგრძობდა ერთგულად თავისი მარჯვენით ლუკმა-პურის შოვნას. მაგრამ თეატრისთვისაც თავი არ გაუნებებია. პირიქით—ის უფრო მჭიდროთ და მუდმივათ დაუკავშირდა სცენას. მხოლოდ იმ სცენას, რომელიც მშრომელი ხალხის შუა გულში ტრიალებდა, ესე იგი სახალხო თეატრისას.

მართლაც ეს უცნაური მოვლენაა. ყველა ცოტად-თუ ბევრად ნიჭიერი მსახიობი პატარა თეატრიდან დიდ თეატრს ეტანებოდა. აქ კი ჩვენ ვხედავ ი წინააღმდეგს: დიდ თეატრზე გზა გაპობილი კაცი, უბრუნდება ახლად ჩასახულ სახალხო თეატრის სცენას, და იქ იწყებს თავის ნელსა, თანდათან და ბეჯით მუშაობს.

ამ გვარათ მხოლოდ ისეთი „ახირებული“ კაცი მოიქცევა, როგორიც თვით ნიკო გოცირიძეა.

ჩქარა იგი შეიქმნა სახალხო თეატრის ნამდვილ ბურჯათ.

დილის ხუთი საათიდან საღამოს ოთხ-ხუთ საათამდის, იგი ეწეოდა ჭაპანსაწყვეტ შრომას რკინის გზის სახელოსნოებში და შემდეგ შეუდგებოდა ხოლმე, როგორც თავის განვითარებას, აგრეთვე საყვარელ-საქმის სამსახურს.

სულ რამდენიმე წელიწადში ნიკო გოცირიძე დახელოვნებულ მსახიობათ გარდაიქცა. იმის ნიჭსა და ხელოვნების შეუდრეკელ სიყვარულს ყველა ამჩნევდა აშკარად და სცდილობდენ, როგორმე გადმოეზიდათ დიდ სცენაზე მუდმივ მსახიობათ. მაგრამ ნიკო ვერავინ ვერ შეაცდინა.

იგი განაგრძობდა ისევ მშრომელთა საამქროში ოფლის წურავს და სახალხო თეატრის წარმატებას.

ნიკო გოცირიძე ასრულებდა ვასო აბაშიძის როლს.

განსაკუთრებით შვენოდა ტფილისელ ძველი მოქალაქის როლები.

აგრეთვე ნიკო ითვლებოდა ერთ ერთ საუკეთესო კუპლეტისტათ.

მართალია ნიკო მოკრძალებით გაურბოდა დიდ სცენას პროფესიონალურ მსახიობობას, მაგრამ სამაგიეროთ იგი ხშირათ მოვლინებია ჩვენ დაბა-ქალაქებს, სადაც თავისი ნიჭით აღტაცებაში მოჰყავდა ხალხი.

სახალხო თეატრი. ნიკო გოცირიძის წყალობით საუკეთესო ფურცლებს სწერდა თავისი მატიანისას.

იგი იყო უმთავრესი, უსაყვარლესი მსახიობი და რამდენიმე წლის განმავლობაში ერთგული რეჟისორიც. თუ რა სამსახური მიუძღვის მას სახალხო თეატრში—ეს ღირსეულად იყო აღნიშნული ამ თეატრის ოცდაათი წლის იუბილეზე.

ბოლო წლებში ნიკო გოცირიძე აუცილებლათ დაისაჭიროა რუსთაველის დიდმა თეატრმა.

დაბოლოს ორმოცდაათი წლის კაცი როგორც იქნა გაანთავისუფლეს დაუღალავ ფიზიკურ შრომისაგან, რომ სავსებით გადამდგარიყო სულიერ და მხატვრულ შემოქმედებაზე.

ორი წლის წინედ ამ მიზეზით ერთი წლის მივლინება მისცეს სახელოსნოებში. დაბოლოს სავსებითაც გაანთავისუფლეს. მხოლოდ იმ პირობით, რომ თავისი ადგილი ყოველთვის ექნება შენახული, როცა კი მოისურვებს იქ დაბრუნებას.

ასე გარდიქცა ნიკო მუდმივ მსახიობათ.

მართალია ნიკოს ყველა ვცნობდით უნიჭერეს მსახიობათ, მაგრამ უკანასკნელ წელიწადში იგი პირდაპირ ზღაპრულად გარდაიქმნა,

ჩვეულებრივ მსახიობიდან იგი გარდაიქმნა ნამდვილი ევროპიულ თანამედროვე მსახიობათ.

ჩვენ მასა ვხედავთ უფრო მეტის დახელოვნებითა და ნიჭით წმინდა ევროპიელი პიესებში, ვიდრე ვხედავდით მას გიურქსა და კარაპეტას როლებში.

უკანასკნელ სეზონისათვის კი გოცირიძე პირდაპირ დედაბოძათ ჩაითვლება.

ამ სეზონის საარსებო რეპერტუარს შეადგენს „გაყრა“, „მზის დაბნელება“, „ინტერესთა თამაში“, „გმირი“ და „გააზნაურებული მდაბიო“.

გამოაცალეთ ყველა ამას ნიკო გოცირიძე და უიმისოდ მთელი ეს რეპერტუარი სულ ერთიან განიავდება.

ნიკოსათვის ეს წელიწადი იყო უდიდესი წარმატება და მიღწევა, რომელიც გადადის ნამდვილ მხიბლაობაზე. და ეს იუბილეც შეუხვდა სწორეთ იმ დროს, როცა იმისი ნიჭი განიცდის ძლიერების ნამდვილ დღესასწაულს.

ეს არის მშრომელი ხალხის წიაღიდან გადმოტყორცნილი მარგალიტი, რომელმაც ასე დაამშვენა ჩვენი თეატრის მოკრძალებული გვირგვინი.

**დელი.**

# ლენინიზმის მედროშეთ

**წინ, კომუნარნო! წითელ დროშის ქვეშ**
**შევამჭიდროოთ რიგები ჩვენი,**
**თავისუფლებას და ხალხის სურვილს,**
**ახალგაზრდული შევსწიროთ დღენი.**
**კარი გაუღოთ ციაგ მომავალს,**
**ახალ ცხოვრების და ახალ დროსა,**
**დე, ვამაყობდეთ, რომ ხელთ გვიჭირავს**
**უკვდავ ლენინის წითელი დროშა!..**

—

გასწით რაინდნო! ნუ შეფიქრდებით
თუ ჩვენი წინსვლა ცოტა ნელია,
თუ ჩვენი მცნება შესათვისებლად
ყველა ქვეყნისთვის ერთზომ ძნელია,—
მაგრამ სიმართლე მაინც აღსდგება
და გაიმარჯვებს ხალხის გენია...
დე, ცეცხლათ ენთოს ჩვენს გულში რწმენა:
რომ მომავალი მხოლოდ ჩვენია!..

—

მთელ დედა-მიწის ერთ მეექვსედზე.
გვხვდა გამარჯვება წითელ არწივებს,
დღეს ჩვენი ნება შორს დასავლეთსაც
გასტყორცნის დიად კომუნის სხივებს,
და იქ სადაც ჯერ წამება, ყვლეფა
მრისხანე თვალებს, რომ აბრიალებს,
გამარჯვებული მშრომელი ხალხი,
ოქტომბრის დროშას აავრიალებს!..

—

მანამდე ჩვენ აქ, ძლევა მოსილად
განვაგრძოთ ჩვენი გზა ეკლიანი,
ხელი ჩავსჭიდოთ ილიჩის ანდრძს:
პარტია გვყავდეს მუდამ მთლიანი.
დე, ძათ იცოდენ ვინც არ გვიცნობდა,
ან და თუ ეს მათ დღესაც არ იცის,
რომ ჩვენ ვარსებობთ და ვართ მფლობელნი
ერთ მეექვსედის მთელ დედა-მიწის!
წინ, არწივებო, ჩაგრულთა სურვილს
დეე, დაედოს მტლად ჩვენი თავი;
ჩვენ დავამარცხეთ სასტიკათ მტრები—
მტრები ურიცხვი და უთვალავი.
და გავიმარჯვეთ ცხარე ომებში
მძლავრად რკინის რომ ავღმართეთ მკლავი,
და დღეს კრემლიდან ხუთ მკლავიანი
წითლად კიაფებს ჩვენი ვარსკვლავი.

—

გასწით რაინდნო! ნუ შეჩერდებით
და მოწოდების ჩამოვკრათ ზარი,
რომ შევაერთოდ წითელ დროშის ქვეშ
ყველა ქვეყნების მაშვრალთა ჯარი,
ერთად ცხოვრობდეს მსოფლიო ცის ქვეშ:
ზანგი, ქართველი, ფრანგი თათარი,
და ენთოს მუდმივ ყველას გულებში
ერთი საერთო რწმენის ლამპარი.

—

**წინ, კომუნარნო! მებძოლთ დროშის ქვეშ**
**შევამჭიდროოთ რიგები ჩვენი,**
**თავისუფლების და ხალხთა სურვილს**
**ახალგაზრდული შევსწიროთ დღენი!..**
**კარი გაუღოთ ციაგ მომავალს,**
**ახალ ცხვრების და ახალ დროსა,**
**დე, ვამაყობდეთ, რომ ხელ გვიჭირავს**
**უკვდავ ლენინის წითელი დროშა!..**

**ა. ხუფხელი.**

# პროლეტარული დრამები გერმანიაში

მსოფლიო ომმა, გააფთრებულმა კლასთა ბრძოლამ და რევოლიუციამ გერმანიის ხალხში დიდი გარდატეხა მოახდინა, რომელმაც საკმაო გამოხატულება ჰპოვა ხელოვნებაში.

ექსპრესიონიზმი სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა. წვრილმა ბურჟუაზიამ ომში, კლასთა ბრძოლაში და რევოლიუციაში დაინახა თავისი არსებობის გაქრობა, რამაც მას შიში აგრძნობინა იმ ძალთა მიმართ, რომლებიც მას გაქრობით ემუქრებიან. წვრილმა ბურჟუაზიამ ვერ შეეგუა სიკვდილის აზრს და ამიტომ თვით ამოძრავდა საბრძოლველად. ის გაეხვია თავისებურ რევოლიუციონურ სამოსელში, რომ ამ გზით შესაძლებელი გამხდარიყო იმ წვრილბურჟუაზიულ მეშჩანურ იდეოლოგიის აღდგენა, რომელიც ეგზომ შერყეულ იქმნა ისტორიულ პროცესის მიერ.

და მართლაც, მცირე ხნის განმავლობაში წვრილმა ბურჟუაზიამ საკმაო დიდი გამარჯვება მოიპოვა ხელოვნებაში, კერძოთ დრამების სფეროში, სცენაზე: **გიორგ კაიზერი, ერნშტეინი** და სხვ. აი ამ დრამის წარმომადგენლები.

ბურჟუაზიის ასეთ მოქმედებას რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა კონტრ-შეტევით უპასუხა. ამ ფაქტის საუკეთესო დამამტკიცებელია ხელოვნება და ამ შემთხვევაში კი დრამები, რომლის სფეროში პროლეტარიატმა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუპირდაპირა თავისი რევოლიუციონურ-კლასიური იდეოლოგია.

პროლეტარული დრამების დაწყების მომენტად შეგვიძლია ჩავთვალოთ პიესა-ინსცენიროვკები „ar-hoc“, რომლებიც იდგმებოდენ თითქმის მთელ გერმანიაში პროლეტარიატის სადღესასწაულო-საზეიმო დღეს. ეს პიესები უმთავრესად ატარებდა სააგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათს. მაგ. მელითონეთა გაფიცვის დროს **ნიურენბურგში** წარმოდგენილ იქმნა სცენები გაფიცულ მუშათა ცხოვრებიდან, ხოლო ბერლინის მუშებმა კი თავის სცენაზე გამოიყვანეს ბურჟუაზიული კლასიური იუსტიცია, რომელიც ვითომდა „წესიერების დაცვის“ მიზნით ციხეებში აწყვდევს ისედაც განაწამებ პროლეტარიატს.

ამასთანავე თანდათან მრავლდება სერიოზული შინაარსის პროლეტარული დრამები, სადაც მუშათა კლასის სულიერი განწყობილება გამოხატული.

ამ მხრივ საყურადღებოა კომუნისტ **ფრანც ხუნგის** დრამების შინაარსი: აქ ის გვიხატავს იმ კლასიური ბრძოლის, იმ სოციალური კონფლიკტების მომენტებს, რომელიც გამართულია ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და რომელმაც რევოლიუციონური პროლეტარიატი უნდა მიიყვანოს ბრწყინვალე გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში.

დრამა **„განიბალდი“**-ს შინაარსი მდგომარეობს იმ მოქმედებაში, რომელიც სწარმოებს „ჭადარა„ და „შაქრის ფერ“ „ფილოსოფოსებს“ შორის. პირველი იცავს იდეას, რომ ძლიერებმა უნდა შთანთქონ სუსტები, ხოლო მეორე კი იცავს კლასთა ბრძოლის თეორიას. როდესაც მათ შორის ძლიერ მწვავდება კამათი, მაშინ თითეული მათგანი იხდის სახიდან პარიკს და ჩდება ნამდვილი სახე ორი ფიგურისა. პირველი არის ინგლისის ბურჟუაზიული მწერალი უელსი, ხოლო მეორე კი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ბელადი **ვლ. ლენინი**.

მეორე დრამატურგი **ვიტფოგელი** ცდილობს რევოლიუცია მორალური პრობლემების გადაჭრით დაავგვირგვინოს. და ამ იდეით არიან შეპყრობილნი მისი დრამის გმირები, რომლებსაც **ვიტფოგელი** დიდ როლს ანიჭებს, მათზე აფუძნებს რევოლიუციის ბედს. მაგ. პროლეტარიატის გამარჯვების მიზეზათ **„წითელ ჯარის-კაცში“** შეიქნება ბერის სიკვდილი, **„დაზერტირში“** კი სოციალ-დემოკრატების ლიდერის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებანი.

რამოდენიმეთ ისტორიულ ხასიათს ატარებს **მიუზამის** დრამა **„იუდას“**, რომელშიაც გამოხატულია რევოლიუციონური პროლეტარიატის პირველი გამოსვლები იმპერიალისტურ-მტაცებლურ ომის დროს. მართალია, ამ ბრძოლის დროს მუშათა კლასი დამარცხდა, მაგრამ მისი საბოლოო გამარჯვება მაინც აუცილებელია მოკლე ხანში. ამ დრამის ერთ-ერთ პერსონაჟში გამოხატულია რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელიც თავის სიტყვებს ასრულებს გულის სიღრმიდან ამომხდარ აზრებით: „გერმანიის პროლეტარიატმა პირველათ მოუმზადა ნიადაგი მშვიდობიანს და თავისუფლების გამარჯვებას. ის შესდგა სოციალური რევოლიუციის ნარ-ეკლიან გზაზე და თავისი სისხლით აღბეჭდა კავშირი თავის რუს ძმებთან“.

აი, გზა რომლითაც მიემართება თავის არსებობის პირველ პერიოდში პროლეტარული დრამები გერმანიაში. მისი მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ის კლასიურ-სოციალური კონფლიკტები, რომლის მიფუჩეჩებას ცდილობდა და ცდილობს თანამედროვე ბურჟუაზიული დრამები, კიდევ უფრო გაღრმავებია და თავისი სასარგებლო გამოსასვლელი გზები ეპოვნა მისთვის, რათა ამით ბოლო მოეღო იმ ტანჯვა-წამებისთვის, რომელშიაც ის ჩააყენა თანამედროვე ბურჟუაზიულმა მსოფლიომ.

**შ. რადიანი.**

## პარიზის კომუნარებს

პირველად ქვეყნის თქვენ შეიტყვეთ უკუღმართობა,
სურვილი მუშის გამოხატეთ ცხარე ბრძოლაში,
თქვენს წინააღმდეგ მტერს მოჰქონდა ზიზღი და გმობა
ეჯიბრებოდით თქვენ ერთმანეთს თოფის სროლაში·
თქვენი ლანდები ჩვენსა ქარხნებს მუდამ ფარავდა,
სიზმრათ თუ ცხადად თვალწინ გვედგა თქვენი თვალები,
თქვენი აზრები სულის წიაღს მეგობრად ყავდა,
მით ძალას ვგრძნობდით მძიმე შრომით განაწვალები.
ეს თქვენ იყავით ოქტომბრისა წინამორბედი
რომლისა ცეცხლი ძველ ქვეყნისას დასწვავს შავ ფარდებს,
თქვენს გულში იყო ჟამთა კვნესა, მებრძოლთ იმედი
ჩვენი გმირებიც თვის ბრძოლის ჟინს თქვენს მზეს უფარდებს:
ჩვენს გრდემლის ხმაში ჩაქსოვილა ანდერძი თქვენი,
ის თან დაჰყვება ღვედს მამოძრავს, მედგარ კბილანას,
თქვენი სახელით აგებულა შრომისა ბჭენი,
მძლავრი მოტორი მას ტახ-ტახ-ით უმღერის ნანას!

ალ. ჩხეიძე

## კინო

### „მამის მკვლელი“

კინო სურათი 7 ნაწილათ ალ. ყაზბეგის რომანიდან. სახ. კინო მრეწვ. გამოცემა. რეჟისორი ბეკნაზაროვი.

ახალი ფილმა ხასიათდება მისი ეპიტეტით: „ახალი“-თ. აქ ყაზბეგის გარდა ყველა ახალია: რეჟისორიც, ოპერატორიც (ჩვენთვის) მსახიობებიც, დადგმაც და ყველაფერი. ეს ფილმა ახალი ძალების სანიმუშო გამოცდაა.

კინო მრეწველობა ცდილობს რაც შეიძლება მეტი სურათი გამოუშვას ჩვენს ლიტერატურიდან და ამით გაანაღდოს თავის დაპირება, რომელიც მოგვცა „სურამის ციხის“ ალბომში და აგრეთვე გაამდიდროს ახალი რეპერტუარი, რომლის მოთხოვნილება დიდია. ეს კარგი საქმეა, მაგრამ თუ ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია გენიალური ნაწარმოებების შესაფერი დადგმა, სჯობს ხელი მოვკიდოთ ისეთებს, რომლების დადგმა უფრო მოსახერხებელია. ყაზბეგი ისეთი ძლიერი მხატვარია, რომ მას ვერ მისწვდება ჩვენი კინო თავის „კუსტარული ტეხნიკით“, ეკრანი მეტ მხატვრობას უნდა აძლევდეს ნაწარმოებს, უცხოეთის ფილმებში სრულიად უბრალო და უშინაარსო ფაბულა ისე არის განვითარებული და მხატვრობით გადმოცემული, რომ გენიალური ტალანტის შემოქმედებას ჰგავს. ჩვენში კი გენიალური ნაწარმოებები კნინდება და ვლებულობთ მის მახინჯ ორეულს.

ფილმის შეფასების დროს ანგარიშს უნდა უწევდეთ იმ პირობებს, რომლებშიც იმყოფებიან ჩვენი კინო ხელოვანნი. მაგრამ ეს ანგარიშის გაწევა არ გვავალებს ჩვენ დეფექტების გადამალვას და მხოლოდ დადებით მხარეების აღნიშვნას. თითეული ახალი ფილმა, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებას (და ეს საზოგადოება მე მყავს წარმოდგენილი მშრომელთა სახით), დიდი განძია პროლეტარულ რეპერტუარისათვის.

უწინარეს ყოვლისა სცენარის შესახებ. სცენარი—ვერ არის კარგი შედგენილი. ალბად ბეკნაზაროვმა არ იცის ქართული და თარგმანმა ვერ მისცა მას რომანის ნამდვილი სული. (ეს ნაკლი თითქმის ყველა ჩვენს ფილმებს აქვს) მართალია ამ რომანის მოთავსება შვიდ ნაწილში, ისე რომ ზიანი არ მიეცეს მის მთლიანობას, ძნელია, მაგრამ მაინც შეიძლებოდა სცენარის უკეთესი შედგენა.

თითქმის ყველა წარწერები რომანიდან უნდა ყოფიყო ამოღებული. მართალია ფილმის მხატვრული მხარეს დაცვა ხშირად მოითხოვს გადახვევას, მაგრამ აქ ეს არ არის საჭირო.

კიდევ წარწერებზე.

შრომის სკოლის მოწაფე უკეთესად დასწერს ასოებს, ვიდრე ეკრანზეა. აუარებელ გრამატიკულ შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, ასოები გაუგებარია. ეტყობა უცოდინარის ხელითაა დაწერილი.

ქართული ასოები ეხლა გამოდიან ეკრანზე და შეუჩვეველ თვალებს არ უნდა ეძნელებოდეს მათი ამოკითხვა.

ამ ცუდ წარწერებს ერთგვარ სილამაზეს აძლევს სიმბოლიური სურათები. კარგია ეს ჩვენ ფილმებში ორიგინალობა. არის ყველა პლანები როგორც საერთო და პირველი, ისე ამერიკული. კარგად შესრულებულია ტეხნიკურად დიაფრაგმები, მაგრამ ხშირად ისეთი სისწრაფით ხდება დიაფრაგმების და სცენის გამოცვლა, რომ შთაბეჭდილებას ანელებს; ეს უფრო იქ, სადაც ტეხნიკის საიდუმლოებას და თვალთმაქცობას გამოაშკარავების საფრთხე მოელის. (დათვი, არწივი და სხვა ადგილები) რეჟისორს ტრიუკის ელემენტებიც შეუტანია. ეგ საჭიროა, მაგრამ, თოკით თვალაუწვდენელ სიმაღლიდან ჩამოსვლა, ამერიკული შაბლონია.

ბეკნაზაროვი კარგი კინო აქტიორია და კარგი რეჟისორიც იქნება. ამის სიპტომები არის ფილმაში. მას აქვს საქმისადმი თავისებური მიდგომა და ეს არის უმთავრესი; აქვს რეჟისორული ინტუიცია და თუ ყველა ეს ვერ მოგვცა ამ სურათში, ამის დამაბრკოლებელი მიზეზები მრავალი ექნებოდა მას. ეტყობა ცდა არ დაუკლია მთიულეთის შესასწავლად. შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, თუმცა ყაზბეგის მთიულეთი მკრთალად სჩანს. ეს არ ჩაეთვლება რეჟისორს დიდ მინუსად, რადგან მთიულეთი ჯერ კიდევ ყაზბეგსავით მიუწდომელია. საკმაოდ კარგად არის გადმოცემული ცხოვრების მაშინდელი ვითარება.

სურათის მხატვრულ მხარეს ყველაზე უფრო ოპერატორი ემსახურება და ეს ვალდებულება დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მას ამ მხრივ კიდევ მეტი დაბრკოლება ხვდება, ვიდრე რეჟისორს.

ნუნუს ასრულებს ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა, რომელსაც მგონი არა აქვს კინოხელოვნების სპეციალური ცოდნა და პირველად გამოდის ეკრანზე. თუ ეს მსახიობი ქალი გამონახულია ბეკნაზაროვის მიერ, ესეც კმარა რეჟისორის ღირსებად და გამარჯვებად ამ ფილმაში. რომ კინოს სულ სხვა თამაში, სულ სხვა სახე, სხვა ფიგურა, სხვა აქტიორი, ყველაფერი სხვა და თავვისებური ესაჭიროება—ამას ამართლებს ეს მაგალითი. მართალია ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა სრული გრაცია არის, მაგრამ თუ ის ეკრანზე ასეთი კარგი იქნებოდა, საეჭვო იყო.

ეკრანისათვის საუკეთესო ფიგურა, საუცხოვო სახე, სიმეტრიული პლასტიურობა და უმთავრესი რაც არის ტემპერამენტი და მდიდარი მიმიკა—ყველა ეს მასში იდეალურად მოთავსებულია და ახალგაზრდა მსახიობს ჰპირდება მომავალში პირ უაილტის, ასტა ნილსენის და სხვებისებურ უკვდავეჵის გვირგვინს.

პირველად გამოდის... იუპიტერების სინათლე პირველად მოჰხვდა მის თვალებს, კინო აპარატმა პირველად შეხედა მას—და ამიტომ ზოგიერთ სცენებში მას ეტყობოდა მორცხვობა და სიმკრთალემ გადაჰკრა, მაგრამ ეს შეუმჩნეველია მისი თამაშის საერთო კოლორიტში ამ ნაკლს დასძლევს. კარგად შეისწავლის კინო ხელოვნებას და იგი იქნება ქართული ეკრანის მეფე. სიცოცხლით სავსე, თავგანწირული, მხნე და მშვენიერი ხუნუ იგივე მთიულეთია, რომელიც ქედს არ იხრის მტრის წინაშე. ბრძოლაში დაღუპვა ურჩევნია მას, ვიდრე შეურიგდეს მონობას. ცხოვრება მისი სავსეა ტრაღიკული განცდებით და კატასტროფების მოლოდინით. და ასეთი ნუნუ საუცხოვოდ გადმოგვცა ანდრონიკაშვილმა—ვაჩნაძისამ.

სარაჯიშვილს (იაგო) აქვს იაგოს უაღრესი გაგება, მაგრამ მსახიობის კულტუროსნობა, რომელიც შემუშავებულია მრავალი გმირების განსახიერებით ათეულ წლეებში—აშორებს მას მთიულეთის პრიმიტივობას.

ონისე (ვასაძე) შესაფერია. კულტუროსანი მსახიობია. იცის თამაშის ტეხნიკა და კარგად ანსახიერებს ვერაგ და ბოროტ ონისეს. მაგრამ როგორც დრამის მსახიობი, მისი თამაში თეატრალურია, ვასაძე კინოსათვის ამ მცირე ნაკლს რომ გამოასწორებდეს, ის ისეთივე შესანიშნავი კინო აქტიორი იქნება, როგორც არის დრამის. გლახას ცოლს ასრულებს ერისთავი-ჯღენტისა, ამ მსახიობ ქალს ქართული და ორიგინალური სახე აქვს. ესეც საუცხოვო ფიგურა არის. ამ ფილმაში მას არა აქვს სა-

შუალება უფრო გამოაშკარავოს თავის ტალანტი. ესეც პირველად გამოდის ეკრანზე და ამას კიდევ უფრო აკლდა სითამამე; ამიტომ იყო პირველ სცენებში მოისუსტებდა, ეს სისუსტე ნაწილობრივ აპარატის არა კარგად მიდგომის ბრალი იყო, მაგრამ შემდეგ სცენებში, დიამბეგთან, როცა ხდება ტემპერამენტის უმაღლესი გამხურვალება და ნერვების დაჭიმვა—მსახიობი ააშკარავებს თავის სიძლიერეს. საუცხოვო ასრულებით ჯერ ყველა დაიპყრო და შემდეგ დაარწმუნა, რომ საქმე გვაქვს მომავალ დიდ მსახიობთან, თუ კი ღირსეულად ემსახურება ამ ხელოვნებას.

საუცხოვო არიან იაგოს ორივე ძმათ-ნაფიცები. ამათსავით სრული არც ერთი არ არის ამ ფილმაში, მათ არა აქვთ „თეატრალური ცოდვები“ და მათი მშვენიერი თამაში იპყრობს საზოგადოების ყურადღებას.

კ. ანდრონიკაშვილი თავისი თამამი, ბუნებრივი თამაშით და შეუდარებელი ფიგურით, არის ყველაზე უფრო სრული და უნაკლო.

სხვა მოთამაშეთა ანსამბლი სდგას საკმაო სიმაღლეზე და დასაკმაყოფილებლად თამაშობს.

ზღვაოდენი საზოგადოება ესწრება ფილმას.

**ი. ხინელი.**

---

● **„დაკარგული საუნჯე“ ეკრანზე**. ამ დღეებში დამთავრდება: „დაკარგული საუნჯის“ კინო ლენტზე გადაღება. სურათის გადაღებას რეჟისორობს ამხ. ბეკნაზაროვი. სურათის სიუჟეტი ‡აღებულია ბელოვის რომანიდან.

● **„ხაჯი მურატი“ ეკრანზე**. სახელმწიფო კინო მრეწველობა შეუდგა ამხ. ბეკ-ნაზაროვის რეჟისორობით ლ. ტოლსტოის რომანიდან „ხაჯი მურატი“-ს კინო ლენტზე გადაღებას.

● **„ყაჩაღი არსენა“**. კინოს რეჟისორმა ბარსკიმ დაამთავრა „ყაჩაღი არსენას“ სურათის ლენტზე გადაღება.

● **„წუნეთელი მაია“ ეკრანზე**. ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილების კოლეგიამ განიხილა სცენარი კინოსათვის საქართველოში ქალთა მოძრაობის ისტორიიდან მე-18 საუკუნეში „წუნეთელი მაია“, შედგენილი მ. ხუხუნაშვილის მიერ. კოლეგიამ მოიწონა სცენარი და გადაეცა სახელმწიფო კინო მრეწველობას.

● **„ღალატი“ ეკრანზე**. საქ. კინო მრეწველობას განძრახული აქვს ზაფხულში შეუდგეს „ღალატის“ კინო-ლენტზე გადაღებას. მოწვეული იქნება „ღალატი“-ს ავტორი სუმბათაშვილი და რეჟისორი: ალექსანდრე წუწუნავა.

## რუსეთში.

**„მუშფაკელებზ“** გოსკინომ გადაიღო სურათი პროლეტარული სტუდენტოჭის ცხოვრებიდან — „მუშფაკულები“.

**„რუსი ქალები“** გოსკინო დეკაბრისტების აჯანყების ასი წლის თავისათვის ამზადებს სურათს „რუსი ქალები“ (ვოლკონსკაია და ტრუბეცკაია) ნეკრასოვის მიხედვით.

**„აფრიკაში“**. მოსკოვში უჩვენებენ სურათს „აფრიკაში“: ეს სურათი გადაღებულია 1921 წელს ექსპედიციის მიერ, რომელიც ვაშინგტონის ზოოლოგიურმა ინსტიტუტმა გაგზავნა აფრიკაში პროფესორ სნოუს მეთაურობით. ექსპედიციამ მრავალი საინტერეთო სცენები გადაიღო აფრიკის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებიდან.

**„პროლეტ-კინოს“ კინო-სტუდია**. გაიხსნა „პროლეტ-კინოს“ კინო-სტუდია მოწაფეების რიცხვი განსაზღვრულია.

**„გოსკინო“-ში**. ამ ჟამად გოსკინო აწარმოებს ორი ახალი სურათის გადაღებას. ეს სურათებია „წმინდა ვასილ გრიაზნოვი“ და „მისტერ ვესტის თავგადასავალი ბოლშევიკების ქვეყანაში“.

**„ბრძოლა ულტიმატუმისათვის“**. პროლეტ-კინომ მადლობა მიიღო რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მოსკოვის კომიტეტისაგან სურათის „ბრძოლა ულტიმატუმისათვის“ გადაღების გამო. სამადლობელო წერილში სხვათაშორის ნათქვამია: „მოსკოვის კომიტეტის ბიუროს წევრები ადასტურებენ, რომ ამ სურათში კარგათ არის გამოხატული კომკავშირის და ნორჩი პიონერების ყოფა ცხოვრება“.

**მეცნიერული სურათები რუსეთისათვის**. „გოსკინომ“ ხელშეკრულება დასდო გერმანიის ერთ კინო-ფირმასთან რუსეთისათვის მეცნიერული სურათების დამზადების შესახებ.

**ებრაელები საბჭოთა რუსეთში**. ებრაელთა საზოგადოებრივი კომიტეტის ინიციატივით გადაღებულია სურათი „ებრაელები საბჭოთა რუსეთში“.

**“ნანუკ“** მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა გადმოგზავნა მოსკოვში მეცნიერული სურათი „ნანუკ“ (ესკიმოსის ოჯახის ისტორია). სურათი გადაღებულია გუდზონის ყურეში, 50 გრადუს სიცივეში.

**„ფრთებით სივრცეში“** გოსკინომ დაამთავრა გადაღება სურათის „ფრთებით სივრცეში“.

**გერმანია ოქტომბრის წინ**. გოსკინო ამზადებს სურათს „გერმანია ოქტომბრის წინ“.

**ლენინი ეკრანაზე**. გოსკინო ამზადებს სურათს „ვ. ი. ლენინი ცხოვრება, მოღვაწეობა და მნიშვნელობა“.

**„ფაშიზმი“**. გოსკინო ამზადებს სურათს „ფაშიზმი“.

## უკრაინა

**„კანცლერი და ზეინკალი“**. უკრაინის ფოგოსკინო სამმართველომ დაამთავრა გადაღება სურათის „კანცლერი და ზეინკალი“, ა. ლუნაჩარსკის პიესით.

**„შავი კლდეების მეუფე“** უკრაინის ფოტო-კინო მმართველობამ გადაიღო სურათი „შავი კლდეების მეუფე“. სურათი დასდგა რეჟისორმა ჩარდინინმა.

## აზერბეიჯანი

**„ლეგენდა ქალთა ციხეზე“** აზერბეიჯანის განათლების კომისარიატის ფოტო-კინო სამმართველომ უკვე დაამთავრა გადაღება სურათის „ლეგენდა ქალთა ციხეზე“. სურათი დასდგა ვ. ვ. ბალიუზეკმა.

**„ხაჯი მურადი“** აზერბაიჯანის ფოტო-კინო სამმართველოს განზრახული აქვს გადაიღოს ლ. ტოლსტოის „ხაჯი მურად“.

**„26 კომუნარის ცხოვრება და სიკვდილი“**. აზერბეიჯანის ფოტო-კინო სამმართველო მოკლე ხანაში დაიწყებს გადაღების სურათის „26 კომუნარის ცხოვრება და სიკვდილი“.

**„შავი სისხლი“** ახლო ხანში ბაქოში გადაღებული იქნება სურათი „შავი სისხლი“. სურათზე ნაჩვენები იქნება ბაქოს ნავთის მრეწველობა.

**„ლეილი და მეჯნუნი“** აზერბეიჯანის ფოტო-კინო მმართველობა მოკლე ხანში გადაიღებს ეკრანაზე აღმოსავლეთის ლეგენდას „ლეილი და მეჯნუნი“.

## გერმანიაში.

**„ცოცხალი ბუდდები“** კინო საზოგადოებამ „პაულ ვეგენერ“ დაამთავრა გადაღება სურათის „ცოცხალი ბუდდები“. მოქმედება სწარმოებს ტიბეტში.

**„სიზმარი ბედნიერებაზე“** კინო-საზოგადოება „ტრიანონ“ ამზადებს ახალ სურათს „სიზმარი ბედნიერებაზე“. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი კინო-მსახიობი გარრი ლიდტკე.

**კინო-ექსპედიცია გრენლანდიაში**. კინო-რეჟისორი კარლ გრუნსი ემზადება კინო-ექსპედიციისათვის გრენლანდიაში, სადაც წელიწადნახევარს დაჰყოფს. აქ გადაღებულ სურათში ცნობილ მსახიობებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ ესკიმოსები.

**„დაკარგული ფეხსაცმელი“** ახალგაზრდა კინო-რეჟისორმა ლიუდვიგ შერგერმა დასდგა სურათი—ზღაპარი. „დაკარგული ფეხსაცმელი“ სურათი, თეატრალური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, დიდ მხატვრულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

**„ცხოვრების კარუსელი“**. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ბერლინში რუსი რეჟისორის დ. ბუხოვეცკის მიერ დადგმულმა სურათმა „ცხოვრების კარუსელი“.

**„აღდგომა“ ეკრანზე**. რეჟისორმა ცელნიკმა დადგა სურათი „აღდგომა“, ტოლსტოის მიხედვით. რუსეთის თეატრალური ჟურნალების გადმოცემით სურათში ყველაფერი გადამახინჯებულია: შინაარსიც, ტიპებიც.

**ალპები ეკრანზე**. ცნობილმა ალპინისტმა ვერნერ შაერშმიდტმა გადაიღო ეკრანზე ალპის მთები.

**„ოკეანე“** ინჟენერმა დრეიერმა გადაიღო ტეხნიკური სურათი „ოკეანე“. სურათში გადაღებულია თანამედროვე დიდი გემების აგების დაწყება, დამთავრება და მოგზაურობა ოკეანეზე.

---

# მხატვრობა

## რუსეთი

**ლენინის ქანდაკება.**

მოქანდაკე შაბრმა ლენინის დამკრძალავი კომისიის წინადადებით გამოჰკვეთა ლენინის თავი.

## იტალია

**მსოფლიო გამოფენა.**

1924 წლის აპრილში ვენეციაში გაიხსნება სამხატვრო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ყველა სახელმწიფოების მხატვრები. გამოფენაზე მოწვეულია საბჭოთა კავშირიც.

# მ უ ს ი კ ა

რ უ ს ე თ ი.

**კანტატა ვ. ი. ლენინის სიკვდილზე.** ვ. ბრიუსოვმა დასწერა კანტატა ლენინის სიკვდილზე, მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა ბაგრინოვსკიმ. კანტატა ცალკე გამოცემათ გამოვა.

**„რახილის გლოვა“.**

ახალგაზრდა კომპოზიტორმა დუდკევიჩმა დასწერა ოპერა „რახილის გლოვა“. ოპერას თბილათ შეხვდენ მოსკოვში.

**მუსიკალური კრებული.**

სრულიად რუსეთის პროლეტარული მუსიკის ასოციაცია ახლო ხანში უშვებს მუსიკალურ კრებულს ნ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

**რ. შტრაუსის ახალი ნაწარმოები.**

ცნობილმა გერმანელმა კომპოზიტორმა რ. შტრაუსმა შეადგინა ცეკვათა კრებული. ამ ცეკვათა მუსიკალურ შესრულებას მოელიან წრეულს დრეზდენში.

**გენრიხ გრიუნფელდის იუბილე.**

ბერლინში დიდის ზეიმით გადაიხადეს მუსიკის პროფესორის, ვიოლონზე დამკვრელის გენრიხ გრიუნფელდის მუსიკალური მოღვაწეობის 60 წლის იუბილე, საიუბილეო პროგრამის შესრულებაში იუბილიარს გარდა მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა პიანისტმა არტურ შნებელმა და კლინგერის სიმებიანმა კვარტეტმა.

ი ტ ა ლ ი ა.

**„ლუნა პარკ“.**

მილანის თეატრში „დალ-ვერმე“ დაიდგა ლეგარის ახალი ოპერეტა „ლუნა პარკ“.

**„მილუს საცოლე“.**

სიცილიელმა კომპოზიტორმა ალფრედ კუშინიმ დასწერა მუსიკა ოპერეტისათვის „მილუს საცოლე“.

**„მ ი მ ი“.**

ცნობილმა იტალიელმა ტენორმა ტიტო სკიპამ დასწერა მუსიკა ახალი ოპერეტისთვის „მიმი“.

**რ. შტრაუსი იტალიაში.**

ამჟამად რიხარდ შტრაუსი იტალიაში იმყოფება. პირველი სიმფონიური კონცერტი მან ტრიესტში გამართა. მას დიდი აღტაცებით შეხვდენ. საკუთარ ნაწარმოებთა შესრულების დროს მას მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

შ ვ ე ც ი ა.

**შვეციის ოპერა.**

ინგლისური გაზეთების ცნობით შვეციის ოპერა თანდათანობით საპატიო ადგილს იჭერს. განსაკუთრებით მიიპყრო ევროპის ყურადღება შვეციის ოპერამ სტოკჰოლმის საოპერო თეატრში „მაკბეტის“ დადგმით.

ა ვ ს ტ რ ი ა.

**„კლეოპატრას საუნჯე“.**

ოსკარ შტრაუსის უკანასკნელ ოპერეტას „კლეოპატრას საუნჯენი“ ვენაში ცივათ შეხვდენ.

# თ ე ა ტ რ ი

რ უ ს ე თ ი.

**„ლენინი—ცოცხალია“.**

პროლეტკულტის მუშათა პირველ თეატრში პიესის „გესმის, მოსკოვო?“ დადგმის დროს ჩაუმატეს ასეთი ადგილი: წარმოდგენის დროს შემოაქვთ ლენინის პორტრეტი, უკრავენ სამგლოვიარო მარშს, ერთი მოქმედი პირი იძახის: „ლენინი მოკვდა!“—მაგრამ მუშები ერთხმად უპასუხებენ: „მუდამ ცოცხალია!“

**ლენინის სახელობის თეატრი.**

რევოლიუციის თეატრის დირექციამ აღძრა შუამდგომლობა თეატრისათვის „ვ. ი ლენინის სახელობის თეატრის“ სახელწოდების მინიჭების შესახებ.

**„დათვთა ქორწილი“.**

ა. ლუნაჩარსკის პიესის „დათვთა ქორწილის“ დადგმა მოსკოვის მცირე თეატრში გაზაფხულისთვის გადაიდო.

**პროლეტარული თეატრისაკენ.**

„ზამოსკვო რეჩიეს“ რაიონის სამი მუშათა კლუბის თეატრალური სტუდიები გაერთიანდენ ახალი პიესის—„ამერიკა ცეცხლში“—დასადგმელად. პიესა წარმოადგენს ამერიკელი ცნობილი პროლეტარული მწერალის უპტონ სინკლერის რომანის „ჯიმი ხიგინს“-ის ინსცენიროვკას პიესაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული ანტიმილიტარისტული პროპაგანდა და კომუნისტური მოძრაობის ზრდა ამერიკაში.

**„სიყვარული—ოქროს წიგნი“.**

მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველმა სტუდიამ მოამზადა დასადგმელად ალ. ტოლსტოის პიესა „სიყვარული—ოქროს წიგნი“.

**„კარმენ“ სამხატვრო თეატრში.**

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალური სტუდია ამზადებს „კარმენს“. კარმენის როლს შეასრულებს ო. ბაკლანოვა. დადგმა—ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსი.

**„ჰამლეტი“ მ. ხ. ტ. პირველ სტუდიაში“.**

მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველი სტუდია ამზადებს „ჰამლეტს“. ჰამლეტის როლს შეასრულებს მ. ა. ჩეხოვი.

**„სტენკა რაზინ“ რევოლიუციის თეატრში.**

რევოლიუციის თეატრი ამზადებს ვ. კამენსკის „სტენკა რაზინს“, რომელიც გადაამუშავა ავტორთან ერთად რეჟისორმა ბებუთოვმა.

ი ტ ა ლ ი ა.

**ელეონორა დუზეს დაბრუნება.**

რომის გაზეთების ცნობით მსოფლიოში ცნობილი მსახიობი ქალი ელეონორა დუზე, ამერიკაში გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ მომავალი წლის თებერვალში, პრაგაში გამართავს ორ წარმოდგენას. ეს იქნება დიდი მსახიობის უკანასკნელი გასტროლები. მომავალში ის მხოლოდ თავის თეატრალურ სკოლაში იმუშავებს.

**რუსული დასი მილანში.**

მილანის თეატრში „ტრიანონ“ ამ ჟამად წარმოდგენებს სდგამს ყოფ. მოსკოველი ანტრეპრენიორის ზონის დასი „ნილაბი“. გაზ. „კორიერე დელასერა“ დიდის ქებით იხსენიებს დასს.

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

რ უ ს ე თ ი.

**„კომუნის დღიური“.**

პოლიტ-განათლების მოსკოვის საგუბერნიო მმართველობამ გამოსცა ვ. ლ. ქემჩუჯნის პიესა „კომუნის დღიური“. პიესაში დახატულია პარიზის კომუნის მთელი ისტორია. პიესის შედგენის დროს გამოყენებულია ყველა ისტორიული საბუთები, პარიზის კომუნის მოღვაწეთა სიტყვები, მოწოდებები და სხვა.

**„მხატვარი და მაყურებელი“.**

გამოვიდა ჟურნალი „მხატვარი და მაყურებელის“ № 1 (იანვარი). ეს ჟურნალი არის პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის სამხატვრო განყოფილების ორგანო ჟურნალში მოთავსებულია სხვათა შორის ამხ. ლუნაჩარსკის მეტად საინტერესო წერილი „საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ხელოვნებაში“.

**„ოჯახური მეურნეობის მონობაში“.**

ამხ. ნ. ერდმანმა და ნ. ლევენმა დასწერეს პიესა „ოჯახური მეურნეობის მონობაში“. პიესა ხატავს თანამედროვე ოჯახის მიერ ქალის დამონებას.

**კრებული ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად.** პროლეტარულ მწერალთა მოსკოვის ასოციაცია უშვებს ცალკე კრებულს ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. მთელი შემოსავალი გადაიდება ილიჩის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

**მუსიკალური კრებული ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.** მოსკოვის პროლეტარულ მუსიკოსთა ასოციაცია ამზადებს გამოსაცემად ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მუსიკალურ კრებულს. მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს პოეტები და მუსიკოსნი.

**ვალ. ბრიუსოვის ახალი პიესა.** ვ. ბრიუსოვმა დასწერა ახალი პიესა: „კომეტაზე“.

**„მიწის შობა“.** „კუზნიცა“-ს წევრმა ამხ. ლიონტიევმა დასწერა ფანტასტიური რომანი „მიწის შობა“.

საფრანგეთში.

**ინტერესი გერმანული ლიტერატურისადმი.**

გერმანიის ლიტერატურა, მიუხედავად ხელოვნური ზღუდეებისა, მაინც იკაფავს გზას ფრანგ მკითხველისაკენ. განსაკუთრებულ აქტივობას გერმანული ლიტერატურის გავრცელებაში იჩენს ცნობილი ფრანგი მწერალი რომენ როლლანი. მისი წინასიტყვაობით მოკლე ხანში გამოვა ვ. ბანზელსის რომანი „Biene Maja“.

ფინეთში.

**წიგნი ხელოვნებაზე.**

ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს რუინიმ გამოსცა წიგნაკი „თანამედროვე ხელოვნება ფსიქოლოგიური გაშუქებით“. განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, სადაც რუინი არჩევს ექსპრესიონიზმს.

# სპორტი

## საფრანგეთი.

**მსოფლიო ოლიმპიადა.** ზამთრის ოლიმპიადაში, რომელიც დაიწყო შამანში 1924 წლის იანვრის 25-ს მონაწილეობას იღებენ 16 ეროვნების წარმომადგენელნი. ოლიმპიადა გაგრძელდება 27 ივლისამდი.

**სპორტო კონგრესები.** მარტში საფრანგეთში გაიმართება ლაუნტენისის მოთამაშეთა საერთაშორისო კონგრესი; 5 ივნისს—ფარიკაობის მოყვარულთა, ბოქსის, მსუბუქი ატლეტიკის მოყვარულთა და მოჭიდავეთა საერთაშორისო კონგრესი.

## ამერიკა.

**ცურვის ხანგრძლივობის რეკორდი.** ამერიკელმა ქალმა მისს გარისონმა დაამდაამყარა ცურვის ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდი ქალებისათვის. მან გადასცურა მდინარე ლაპლატა 24 საათში იმ ადგილს, სადაც მისი განი 40 ვერსს უდრის.

**ველოსიპედი.** ნიუ-იორკში დეკემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება ველოსიპედებით სასწრაფეზე. გამარჯვებულები გამოვიდენ კოკლერ და ლაურენცი, რომლებმაც 144 საათის განმავლობაში 4000 ვერსი გაიარეს.

## ფინეთი.

**რუს სპორტსმენების მოწვევა.** საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრებაზე, რომელსაც აწყობს ფინეთის მუშათა სასპორტო კავშირი, მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## ავსტრია.

**ტანვარჯიშობის საერთაშორისო დღესასწაული** გაიმართება ავსტრიაში 9—11 აგვისტოს. მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის სასპორტო ორგანიზაციები.

## გერმანია.

**რუს სპორტსმენების მიწვევა.** სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის სასპორტო ორგანიზაციების მიერ გერმანიაში სასპორტო დღესასწაულებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ასეთივე მოლაპარაკებას აწარმოებენ ჩეხოსლოვაკიის სასპორტო ორგანიზაციებიც.

---

## რუსეთის პროლეტ. მწერალთა კავშირი

ეს ორგანიზაცია აკავშირებს პროლეტარულ ლიტერატურული ახალგაზრდობის რამდენიმე ჯგუფს. სულ ამ ასოციაციაში შედის პროლეტარულ მწერლების სამი ჯგუფი: პოეტების ჯგუფი, დრამატურგების ჯგუფი და ბელეტრისტების ჯგუფი. ასოციაცია აერთებს 40 მწერალს. თითეული ჯგუფი მართავს ყოველკვირეულ კრებებს, რომლებზედაც კეთდება სხვა და სხვა ხასიათის მოხსენებები.

**მომავალი ყრილობისათვის.**

ახლო მომავალში სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს განზრახული აქვს მოიწვიოს ყრილობა

# მეცნიერება და ტეხნიკა

## სტრადივარიუსის საიდუმლო

სტრადივარიუსის და ამატის ცნობილი ძველი სკრიპკების საიდუმლო დიდი ხანია აინტერესებდა მუსიკოსებს. მრავალი შრომა გასწიეს ქიმიკოსებმა და მკვლევარებმა, რომ გამოერკვიათ ამ სკრიპკების საიდუმლო; იმ სახლებში, სადაც ეს ცნობილი სკრიპკის დამმზადებლები ცხოვრობდნენ, ყველა კუნჭულები გადააბრუნეს იმ იმედით, რომ სადმე იპოვნიდენ საიდუმლო რეცეპტს იმ ლაქისას, რომლითაც სტრადივარიუსი და იამატი ფარავდნენ თავის სკრიპკებს.

ცდილობდნენ აგრეთვე მოენახათ ადგილი, საიდანაც ისინი იღებდენ მასალას სკრიპკებისათვის. ამ მასალას უკეთებდინ ანალიზს, ფიქრობდენ, რომ ხის ჯიშს და ჰასაკს აქვს მნიშვნელობა სკრიპკის კეთილხმოვანებისათვის. დაამზადეს სკრიპკა ასწლოვანის ხის მასალიდან, მაგრამ საიდუმლოს გამორკვევას არა ეშველა რა.

აუარებელ ფულებს ხარჯავდენ ძველი სკრიპკების შესაძენად. ცდილობდენ დაემზადებიათ მსგავსი სკრიპკები. მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს.

მაშინ მიმართეს შემდეგ საშვალებას: დაამზადეს სკრიპკა ამავე ზომის, როგორც ცნობილი ძველი სკრიპკები, მასალა მოიტანეს ცნობილი სკრიპკის დამმზადებლების სამშობლოდან. სცადეს სხვა და სხვა ლაქები, მაგრამ ახალი სკრიპკები არ იძლეოდნენ იმ მომაჯადოებელ ტემბრს, როგორიც ძველ სკრიპკებს ჰქონდათ.

ცდები გრძელდებოდა. ბოლოს და ბოლოს მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ სკრიპკის ტემბრი იცვლება და უმჯობესდება დროთა განმავლობაში. ზოგიერთები ფიქრობდინ, რომ სკრიპკის ხმა უმჯობესდება ხშირად ხმარების შემდეგ. მწუხარებას გამოსთქვამდენ, რპეაგანინის ცნობილი სკრიპკა, რომელიც მან უანდერძა თავისს სამშობლო ქალაქ გენუას და რომელიც ინახება მუზეუმში, და ჰკარგავს თავის ღირსებებს.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოიგონეს ახალი მეთოდი, რომელიც სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

სტრადივარიუსის სკრიპკების საიდუმლოს გამორკვევას ხელი მოჰკიდა ცნობილმა პროფესორმა რობერტ კოხმა, ფიზიკოსმა და მუსიკოსმა. მან გადასწყვიტა, რომ თუ სამასიოთხასი წლის წინათ შეიძლებოდა ასეთი საუკეთესო ღირსების სკრიპკების დამზადება, ასეთივე შედეგების მიღწევა შეიძლება თუ შესაფერად იქნება შერჩეული სკრიპკისათვის საჭირო მასალა. პროფესორი კოხი მივიდა იმდასკვნამდი, რომ სკრიპკის კეთილხმოვანებისათვის მნიშვნელობა აქვს მასალას და არა თვით სკრიპკის ზომას. რ. კოხმა მიკროსკოპის საშუალებით გამოიკვლია ძველი სკრიპკები და გამოირკვა, რომ ისინი ერთგვარი მასალისგან შესდგებიან. კოხისათვის ნათელი გახდა, რომ სკრიპკის კეთილხმოვანების შესაღწევად სკრიპკის მასალას, სანამ მას ლაქით დაფარავდენ, რაღაც განსაკუთრებული მეთოდით ამუშავებდენ ხის ნაჭრეტებს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს სკრიპკის კეთილხმოვანებისათვის და სულ სხვა და სხვა ღირსებას აძლევენ ერთი და იგივე მასალის სხვა და სხვა ნაწილებს. რ. კოხმა გამოიკვლია, რომ ძველი სკრიპკების ნაჭრეტებს ავსებდინ გამჭვირვალე სითხით და ამიტომ მისი აზრით საკმაო სკრიპკის დასამზადებელი ხის შევსება ასეთი სითხით, რომ მიღწეული იქნეს იგივე შედეგები, როგორსაც სტრადივარიუსმა და ამატომ მიაღწიეს.

პროფესორმა რ. კოხმა სკრიპკის დამზადებლებს გააკეთებია სკრიპკები თავისი მეთოდით. სკრიპკას წაუსვეს კოხის მიერ დამზადებული სითხე და შემდეგ გააშრეს მზეზე. გაშრობის პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვე და შესაძლოა წელიწადიც. ამატო, სტრადივარიუსი და გვარნერიუსი, ცხოვრობდენ მზის სხივებით მდიდარ მხარეში და ამიტომ ისინი უფრო ჩქარა აღწევდენ შედეგებს.

ერთ ძველ იტალიურ სკრიპკაზე აღმოაჩინეს ასეთი წარწერა: „ამაოა მუშაობა უზეთოთ“. აქ ალბათ ლაპარაკია იმ სითხეზე, რომელსაც უსვებდინ ძველ სკრიპკებს, აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ძველი სკრიპკების ტემბრის გაუმჯობესება შეიძლება ამ გამჭვირვალე სითხით გაჟღენთით. ამ სკრიპკებს აშორებენ ლაქს, რასაც 5 თვეესაჭიროება, სითხის ხელახლა წასვებას და გაშრობას კი 16 თვემდი სჭირდება.

სკრიპკის ასეთ დამზადების შედეგების სისწორით გამოსარკვევად მოახდინეს შემდეგი ცდა: ერთ ოთახში ზიან მსმენელები, მეორე ოთახში უკრავენ ცალ-ცალკე სხვა და სხვა სკრიპკაზე, მსმენელები ვერ ხედავენ დამკვრელს და თვითონ მან არ იცის თუ ვის მიერ დამზადებული სკრიპკაზე უკრავს. ცდებისათვის იხმარეს გვარნერიუსის, ნიკოლოზ ამატის, იერონიმ ამატის და პროფ. კოხის სამი სკრიპკა. თითეულ სკრიპკაზე დაკვრის შემდეგ მსმენელები სვამდენ ნიშანს ხმის ღირსებისათვის. შეფასება იყო საიდუმლო და არც ერთმა მსმენელმა არ იცოდა ვის სკრიპკას ისმენს. სცდი შემდეგ ნიშნები შედარებული იქმნა და გამოირკვა: კოხის სკრიპკამ მიიღო—26 ბალლი, ნიკოლოზ ამატის—19, იერონიმ ამატის—15 და კოხის მეორე სკრიპკამ ცამეტი. კოხის სკრიპკები დამზადებული იყო 1921 წელს.

ამრიგათ, რ. კოხმა, როგორც სჩანს, გამოარკვია საუკუნოების საიდუმლო.

# ხელოვნების ქრონიკა

● **საბავშვო მოთხრობა „ნატახტარის საიდუმლო“** გამოვიდა ლეო ქიაჩელის საბავშო მოთხრობა: „ნატახტარის საიდუმლო“. წიგნი დასურათებულია და შეიცავს 48 გვერდს.

● **ნ. დიმოვის ახალი პიესა.** მსახიობმა ნ. დიმოვმა დასწერა ახალი პიესა: „დურმან“, რომელიც ითარგმნება ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე და ამ მოკლე ხანში დაიდგმება სახ. განათლების თეატრში.

● **ლიტერატურული კრებული „ლენინი“.** პროლეტარულ მწერალთა კავშირი შეუდგა ლენინის ხსოვნისადმი მოძღვნილ ლიტერატურულ კრებულის გამოცემას, რომელშიაც შევა ლექსები ლენინისადმი მოძღვნილი ქართული და თარგმანებიც.

● **ვანო ფალიაშვილის იუბილე.** აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება დამსახურებულ დირიჟორის ვანო ფალიაშვილის იუბილე. საიუბილეოთ წარმოდგენილი იქნება „ოქროს მამალი“.

● **ჟურნალი „მნათობი“.** გამოვიდა და იყიდება სქელ ტანიანი ჟურნალი „მნათობი“-ს პირველი ნომერი. ჟურნალი ლამაზათაა გამოცემული.

● **აბესალომ და ეთერი“.** აპრილის პირველ რიცხვებში ლენინის სახელობის საოპერო თეატრში წირმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“ სრულიად ახალი მიზან სცენებით და კონსტიუმებით.

● **მთავარი სახელოვნო კომიტეტი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა მთავარი სახელოვნო კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა: დ. კანდელაკი (თავმჯდომარე) გრ. რობაქიძე (თავმჯდომარის მოადგილე), წევრებად: სანდრო ეული, ვ. იგნატიევი, ა. მიქაძე, კახიანი, ი. გედევანიშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. მარჯანიშვილი, კ. მაყაშვილი და სვ. სვიმონიშვილი.

● **სარეპერტუარო კომისია.** საქარ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სარეპერტუარო კომისიის შემდეგი შემადგენლობა: ამხ. მურვანიშვილი, გრ. რობაქიძე, მ. კახიანი, არჩ. მიქაძე და იოს. გედევანიშვილი.

● **„ლენინის ოთახი“.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა აღნიშნულ კლუბთან მოაწყოს „ლენინის ოთახი“.

● **ახალი პიესა.** ივანე გომართელმა დასწერა ახალი პიესა: „ისინი არიან“.

● **მსახიობ ქალის მდივანის იუბილე ბათომში.** ორ მარტს ბათომის აკადემიურ თეატრში იუბილე გაუმართეს მსახიობ ქალს მარო მდივანს. იუბილიარს სახკომ საბჭოს სახელით მიანიჭეს აჭარისტანის სახალხო მსახიობის წოდება.

● **ი. გულისაშვილის 35 წლის იუბილე საგარეჯოში.** დამსახურებულ მასწავლებელს და დრამატურგს ი. გულისაშვილს კვირას 9 მარტს სოფ. საგარეჯოში საზოგადოებამ გადაუხადა 35 წ. მოღვაწეობის იუბილე.

● **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა შალვა ჯანბერიძეს ლექსების მეორე წიგნი. წიგნი კარგ ქაღალდზე იბეჭდება.

● **იონა ვაკელის დრამატიული პოემა „ხანგიზ“.** იონა ვაკელმა დასწერა დრამატიული პოემა 7 სურათად: „ხანგიზ“. პიესაში დასურათხატებულია შრომასა და კაპიტალს შორის გაჩაღებული მწვავე ბრძოლა.

● **ქვეყნიერების ისტორია.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა (სახელგამის გამოცემა) კ. ნ. მალინინის „ქვეყნიერების ისტორია“ თარგმ. ილია აგლაძისა.

● **25 წ. ისტორია კომუნისტური პარტიისა.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა მ. ნ. ლიადოვის წიგნი რომელიც შეიცავს რუსეთის კომუნისტური პარტიის 25 წლის მუშაობის ისტორიას.

● **„სპარტაკი“.** საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა სანდრო შანშიაშვილის პიესა: „სპარტაკ“.

● **ვაჟა ფშაველას მეორე ტომი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ვაჟა-ფშაველას ნაწერების მეორე ტომი.

● **„შექსპირის დრამები“.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ივ. მაჩაბელის მიერ ნათარგმნი შექსპირის დრამები.

● **გრიგოლ ორბელიანის ლექსები.** იბეჭდება გრიგოლ ორბელიანის რჩეული ლექსები. წიგნს სცემს სახელგამი.

● **გ. ერისთავის პიესები.** საქ. სახელგამი შეუდგა გ. ერისთავის რჩეულ პიესათა გამოცემას.

● **ნ. ლომაურის მოთხრობები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ნ. ლომაურის რჩეული მოთხრობების პირველი ტომი.

● **ალ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები.** საქ. სახელგამმა შეკრიბა ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩეული ლექსები და შეუდგა მის წიგნად გამოცემას. წიგნს თან ექნება ავტორის სურათი და კრიტიკული წერილი.

● **რაფ. ერისთავის რჩეული ლექსები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა რაფიელ ერისთავის რჩეული ლექსები. წიგნს ექნება დართული ავტორის სურათი და კრიტიკული განხილვა.

● **„რუსთაველიანა“.** დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა პავლე ინგოროყვას ისტორიული ნარკვევი შოთა რუსთაველზე: „რუსთაველიანა“. წიგნს უშვებს სახელმწიფო გამომცემლობა.

● **„ვეფხის ტყაოსანი“.** საქ. სახ. გამომცემლობამ გამოსცა ი. აბულაძის მე-12 საუკუნის ქართული მწერლობა და „ვეფხის ტყაოსანი“.

● **ახალი წიგნი „მიწა“.** დაიბეჭდა და 25 მარტს გამოვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობა „მიწა“. წიგნი შეიცავს 400 გვერდს. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და კრიტიკული წერილი.

● **სომეხ პროლეტარულ პოეტის ლექსების წიგნი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სომეხ პროლეტარულ პოეტის აზატ ვშტუნის ლექსების პირველი წიგნი „სალამლამე“.

● **ტასო აბაშიძის გამოწვევა.** დამსახურებულ მსახიობ ქალმა ტასო აბაშიძემ ფოთის ქალაქის აღმასკომიდან მიიღო ოფიციალური მოწვევა იუბილეზე, რომელსაც უმართავს მას ფოთის საზოგადოება.

● **„მეოცნებე ნიამორები“.** აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“-ს მორიგი ნომერი.

● **ახალი საბავშო ჟურნალი.** საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ მაგივრად ამიერიდან გამოვა ახალი საბავშვო ჟურნალი „წითელი სხივი“ გადიდებული ფორმატით.

● **ალექსანდრე ყაზბეგის მეორე ტომი.** მარტის ბოლო რიცხვებში გამოვა ყაზბეგის მეორე ტომი. წიგნს დართული ექნება სოფ. მგალობლიშვილის ვრცელი მოგონება ყაზბეგზე.

● **კინო-თეატრი მუშებისათვის.** პლეხანოვის სახელობის თეატრთან დაარსდა უფასო კინო-თეატრი მუშებისათვის.

● **ქართული მუზეუმი.** საქართველოს მუზეუმთან ზოოლოგიურ განყოფილების მოწყობა დამთავრდება ამ დღეებში. სწარმოებს მუშაობა ცხოველების და ფრინველების კოლექციათა სისტემაში მოსაყვანათ. მხატვრულ სადეკორაციო მუშაობას ასრულებს მხატვარი ვეფხვაძე. ზოოლოგიური განყოფილება გაიხსნება მაისის პირველ რიცხვებში.

● **ქართულ მხატვრობის გამოფენა.** მაისის პირველ რიცხვებში საქართველოს ეროვნულ გალერეიის დარბაზში გაიმართება ქართულ მხატვრობის და ქანდაკების გამოფენა.

● **მარქსისტული ლიტერატურა.** საქ. სახელგამმა გამოსცა შემდეგი მარქსისტული წიგნები:

— მარქსი—სამუშაო ქირა, ფასი და მოგება.
— მარქსი—სამოქალაქო ომი საფრანგეთში.
— ლენინი—ეროვნული საკითხი.
— კ. კორში—„მარქსიზმის დედა აზრი“.
— პოკროვსკი--ეკონომიური მატერიალიზმი.
— ბუხარინი—იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა.
— მარქსი—გოტის პროგრამის კრიტიკა.
— პლეხანოვი—ნარკვევი მატერიალიზმის ისტორიიდან.
— კაუცკი—ეთიკა და ისტორიის მატერ. შემეცნება.
— ლიუქსემბურგი—რეფორმა თუ რევოლიუცია.
— ფრ. ენგელსი—ანტიდიურინგი.
„ —მეცნიერული სოციალიზმის განვითარება.
— მარქსი—შესავალი ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის.
— ფრიდრიხ ენგელსი--წარმოშობა ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოსი
—ტროცკი—ტერორიზმი და კომუნიზმი.
— სტეპანოვი—პარიზის კომუნა.
— ბერნშტეინი—კ. მარქსის კაპიტალის მესამეტომის პოპულიარიზაცია.
— კ. მარქსი—კაპიტალის დაგროვება და კრიზისები.
— სტეკლოვი—მარქსი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.